









საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

2022

უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა

შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა
დაგეგმე მომავალი

სარჩევი

შესავალი 6

კვლევის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, მეთოდოლოგია და შერჩევა 7

კვლევის მიზანი 8

კვლევის ობიექტი 8

კვლევის ამოცანები 8

კვლევის ანგარიში 10

სექცია 1: ძირითადი ინფორმაცია სამუშაო ძალის სტრუქტურისა და მახასიათებლების შესახებ 10

სექცია 2 - დასაქმებულთა უნარების შეფასება 21

სექცია 3 - ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ 26

სექცია 4 - მოთხოვნა სამუშაო ძალაზე 38

სექცია 5 - სამუშაო ძალის განვითარება 44

სექცია 6 - პროფესიული განათლება 50

სექცია 7 - დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები 58

სექცია 8 - პირველი სამუშაოს მაძიებლები 62

სექცია 9 - თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება 63

დიაგრამა 1 დასაქმების სტრუქტურა (2021-2022 წლები) 10

დიაგრამა 2 დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომისა და განათლების მიღწეული დონის მიხედვით 11

დიაგრამა 3 დასაქმებულთა განაწილება რეგიონების მიხედვით 11

დიაგრამა 4 დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (2022) 12

დიაგრამა 5 დასაქმებულთა განაწილება ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით 12

დიაგრამა 6 დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი (2022) 13

დიაგრამა 7 საშუალო თვიური ხელფასი რეგიონების მიხედვით (2022) 13

დიაგრამა 8 საშუალო თვიური ხელფასი ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით (2022) 14

დიაგრამა 9 საშუალო თვიური ხელფასი ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით .. 15

დიაგრამა 10 საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა განაწილება სქესის, საწარმოთა ზომისა და რეგიონების მიხედვით 16

დიაგრამა 11 მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა წილი ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით 17

დიაგრამა 12 მომდევნო 5 წლის განმავლობაში პენსიაზე სავარაუდოდ რეალურად გამსვლელთა წილი სქესის, საწარმოთა ზომისა და რეგიონების მიხედვით 18
დიაგრამა 13 პენსიაზე სავარაუდოდ რეალურად გამსვლელთა წილი დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO 08) ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით 19
დიაგრამა 14 სამუშაო გამოცდილების მინიმალური ხანგრძლივობა, რომელიც მოეთხოვება დასაქმების მსურველს საწარმოში სამუშაოს განსახორციელებლად 21
დიაგრამა 15 დასაქმებულთა უნარების ზოგადი შეფასება 22
დიაგრამა 16 დამსაქმებელთა მიერ დასაქმებულთათვის საჭირო უნარების შეფასება 22
დიაგრამა 17 ძირითადი ღონისძიებები, რომლებიც ტარდება დასაქმებულთა უნარებთან დაკავშირებული პრობლემების დასაძლევად 25
დიაგრამა 18 ვაკანსიების მქონე საწარმოთა განაწილება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით 26
დიაგრამა 19 ვაკანსიებისხვედრითი წილები საწარმოთა ზომის მიხედვით 27
დიაგრამა 20 ბოლო 1 წლის განმავლობაში, საწარმოების მიერ გამოცხადებული ვაკანსიების განაწილება (საწარმოთა ზომა, რეგიონი) 28
დიაგრამა 21 ბოლო 1 წლის განმავლობაში, საწარმოების მიერ გამოცხადებული ვაკანსიების განაწილება სექტორების მიხედვით 28
დიაგრამა 22 ბოლო 1 წლის განმავლობაში გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეთავაზებული საშუალო თვიური ხელფასი (სექტორების მიხედვით) 30
დიაგრამა 23 ბოლო 1 წლის განმავლობაში გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეთავაზებული საშუალო თვიური ხელფასი (ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით) 30
დიაგრამა 24 შეუვსებელი ვაკანსიების განაწილება (საწარმოთა ზომის, რეგიონების, სექტორების მიხედვით) 31
დიაგრამა 25 შეუვსებელი ვაკანსიების განაწილება ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით 32
დიაგრამა 26 ვაკანსიების შეუვსებლობის მიზეზები 34
დიაგრამა 27 გამოცხადებული და შეუვსებელი ვაკანსიები ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით (გამოკითხვიდან ბოლო 6 თვე) 35
დიაგრამა 28 ახალი კადრის მოძიების წყაროები 35
დიაგრამა 29 აპლიკანტთა შეფასების გზები 36
დიაგრამა 30 რომელ კანდიდატებს აქვთ უპირატესობა 36
დიაგრამა 31 გესაჭიროებათ თუ არა აპლიკანტის მიერ უცხო ენის ფლობა? 37
დიაგრამა 32 რა ზომებს მიმართა საწარმომ ვაკანსიის შევსებასთან დაკავშირებული პრობლემის აღმოსაფხვრელად 37
დიაგრამა 33 მომდევნო 1 წლის განმავლობაში დასაქმებულთა მოსალოდნელი ზრდა და მათი განაწილება (საწარმოთა ზომის, რეგიონების, სექტორების მიხედვით) 38
დიაგრამა 34 დასაქმებულთა მოსალოდნელი ზრდა მომდევნო 1 წლის განმავლობაში (ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით) 38
დიაგრამა 35 ზრდის ტემპი მომდევნო 1 წლის განმავლობაში, ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით 40
დიაგრამა 36 მომდევნო 5 წლის განმავლობაში დასაქმებულთა მოსალოდნელი ზრდა და მათი განაწილება (საწარმოთა ზომის, რეგიონების, სექტორების მიხედვით) 40
დიაგრამა 37 მოსალოდნელი ზრდა ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით (5 წელი) ... 41

დიაგრამა 38 დასაქმებულთა მოსალოდნელი შემცირება ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით (1 წელი) 42
დიაგრამა 39 დასაქმებულთა მოსალოდნელი შემცირება ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით (5 წელი) 43
დიაგრამა 40 დასაქმებულთა გადამზადებაში ჩართული საწარმოების განაწილება სექტორებისა და რეგიონების მიხედვით 44
დიაგრამა 41 საწარმოების მიერ თანამშრომელთა გადამზადების წილი (საწარმოთა ზომის მიხედვით) 44
დიაგრამა 42 საწარმოების მიერ თანამშრომელთა გადამზადების წილი (სექტორების მიხედვით) 45
დიაგრამა 43 დატრენინგებულ თანამშრომელთა რაოდენობა (რეგიონის, საწარმოთა ზომის, სექტორების მიხედვით) 45
დიაგრამა 44 დატრენინგებულ თანამშრომელთა დონე სექტორების მიხედვით 46
დიაგრამა 45 დასაქმებულთა არგადამზადების მიზეზები 46
დიაგრამა 46 დაფინანსებული ტრენინგები სფეროების მიხედვით 47
დიაგრამა 47 დასაქმებულთა მოტივაციის მექანიზმები 47
დიაგრამა 48 აქვს თუ არა საწარმოს სტრატეგია/გზამკვლევი თანამშრომელთა გადამზადების მიმართულებით 48
დიაგრამა 49 ფლობენ თუ არა ინფორმაციას ,,დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს" სახელმწიფო პროგრამის შესახებ 48
დიაგრამა 50 საწარმოში დასაქმებისთვის საჭირო განათლების მიღწეული დონეები 50
დიაგრამა 51 პროფესიული განათლების მქონე პირთა დამსაქმებელ საწარმოთა განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით (%) 51
დიაგრამა 52 პროფესიული განათლების მქონე პირთა დამსაქმებელ საწარმოთა განაწილება სექტორების მიხედვით 51
დიაგრამა 53 პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომის, რეგიონის, სექტორების მიხედვით 51
დიაგრამა 54 პროფესიული განათლების არმქონე დასაქმებულთა განაწილება, საწარმოთა ზომის, რეგიონების, სექტორების მიხედვით 53
დიაგრამა 55 პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულთა შეფასება 53
დიაგრამა 56 პროფესიული განათლების არმქონე დასაქმებულთა შეფასება 54
დიაგრამა 57 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის ტიპები 54
დიაგრამა 58 პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის ფორმატში დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობების სახეების მიხედვით 55
დიაგრამა 59 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის შედეგად დასაქმებულთა გადამზადების საჭიროება 55
დიაგრამა 60 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სამომავლო თანამშრომლობა 56
დიაგრამა 61 სამომავლო თანამშრომლობის სასურველი ტიპები 56
დიაგრამა 62 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სანდოობის შეფასება 57
დიაგრამა 63 სად უნდა იყოს სახელმწიფოსათვის ინვესტიციების ჩადება პრიორიტეტული 57
დიაგრამა 64 დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები, საწარმოთა ზომის, რეგიონების, სექტორების მიხედვით 58

დიაგრამა 65 დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით 59
დიაგრამა 66 დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით 60
დიაგრამა 67 უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დასაქმების ძირითადი მიზეზები 60
დიაგრამა 68 დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები (ადგილობრივ ბაზარზე საჭირო კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალის არარსებობა) 61
დიაგრამა 69 პირველი სამუშაოს მაძიებლები განათლების მიღწეული დონის მიხედვით 62
დიაგრამა 70 საწარმოების წილი, რომლებიც იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს საწარმოთა ზომების მიხედვით 63
დიაგრამა 71 საწარმოების წილი, რომლებიც იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით 63
დიაგრამა 72 საწარმოების წილი, რომლებსაც სამომავლოდ განზრახული აქვთ ინვესტიციების განხორციელება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით 64

შესავალი

დასაქმების ზრდა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს და იგი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. შესაბამისად, ქვეყანაში უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ზრდის მიმართულებით ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების მიზნით, შრომის ბაზრის ანალიზს, შრომის ბაზრის მოთხოვნების ტენდენციების შესწავლასა და მის წინაშე არსებული გამოწვევების გამოვლენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე ჩატარდა **„უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა - 2022“**, რომლის მიზანია ადამიანისეული კაპიტალის უნარებზე საწარმოების მოთხოვნის გამოვლენა, რომელთა გათვალისწინებაც ხელს შეუწყობს უნარებთან მიმართებით შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული შეუსაბამობის აღმოფხვრას.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის“ ანალიზს, რომელშიც მოცემულია 2021-2022 წლებში დასაქმების სტრუქტურა დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO 08) პროფესიული ჯგუფების), ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების (NACE rev. 2), რეგიონების, საწარმოთა ზომების, განათლების მიღწეული დონეების (საშუალო, პროფესიული და უმაღლესი) და სქესის მიხედვით.

ანგარიშში ასევე წარმოდგენილია გამოწვევები, რომლებიც თან ახლავს პროფესიული ჯგუფების მიხედვით სამუშაო ძალის მოძიებას. კვლევა აანალიზებს, თუ რა წყაროზე დაყრდნობით აჰყავთ საწარმოებს ადამიანები, რა უნარები აკლიათ აპლიკანტებს და რა ზომებს მიმართავენ საწარმოები სამუშაო ძალის უნარების განვითარების კუთხით. კვლევა ასევე ავლენს ახალი თანამშრომლების დაქირავების შესაძლებლობებს, არსებული ვაკანსიების რაოდენობას, სამუშაო ძალის მოთხოვნის ზრდისა და შემცირების ტენდენციებს, მათ გამომწვევ მიზეზებს, საწარმოებში პროფესიული განათლების მქონე ადამიანების დასაქმების მაჩვენებელს, პროფესიულ სასწავლებლებთან კომპანიების თანამშრომლობის ფორმებს, მათ დამოკიდებულებას პროფესიული სწავლების მიმართ, უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმების ტენდენციებს, მათი დასაქმების გამომწვევ მიზეზებს, საწარმოთა განწყობას პირველი სამუშაოს მაძიებელი პირების მიმართ, საწარმოთა მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების და აღნიშნულიდან გამომდინარე სამუშაო ძალაზე შესაძლო მოთხოვნის ზრდას ან შემცირებას.

წინამდებარე კვლევაში, წინა წლებში ჩატარებულ ანალოგიური კვლევებისგან განსხვავებით, ასევე გამოვლენილია საწარმოების მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის, შესაბამისად საწარმოებში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შესაძლო ზრდის ან შემცირების ტენდენციები.

კვლევის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, მეთოდოლოგია და შერჩევა

2017 წლიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ახორციელებს „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევას“, რომლის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი ეფუძნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO), ევროპის საგანმანათლებლო ფონდისა (ETF) და პროფესიული განათლების განვითარების ევროპული ცენტრის (CEDEFOP) მიერ მომზადებულ სახელმძღვანელოს[1]. კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, ასევე მომზადებულია პარტნიორ უწყებებთან თანამშრომლობის ფორმატში.

სამინისტრო „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევას“ ახორციელებს როგორც ეკონომიკის ყველა სექტორის მოცვით, ასევე ცალკეული ეკონომიკური სექტორების შესწავლით. სექტორულ ჭრილში დღემდე სამინისტროს განხორციელებული აქვს ტურიზმის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორების უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევები.

წინამდებარე კვლევის ჩასატარებლად შემუშავდა შესაბამისი კითხვარი, შემთხვევითი სტრატიფიცირებული შერჩევის მეთოდის გამოყენებით განხორციელდა გამოსაკვლევ საწარმოთა შერჩევა საწარმოს ზომის[2], ეკონომიკურ საქმიანობათა სახეებისა (NACE Rev.2) და რეგიონების მიხედვით. კვლევის გენერალური ერთობლიობას წარმოადგენს საქართველოში მოქმედი არა ფინანსური და ფინანსური კორპორაციების მონაცემთა ბაზა.

იმისათვის, რომ ეკონომიკურ საქმიანობათა კლასიფიკატორით (NACE Rev.2) განსაზღვრული სექციების დონეზე მიღებული კვლევის შედეგების ცდომილება არ აღემატებოდეს 1.77%-ს, ხოლო მთლიანად, ქვეყნის მასშტაბით გამოკვლევის ცდომილება არ აღემატებოდეს 0.56%-ს და ამასთან, კვლევის შედეგების გაციფრულების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იყოს კვლევის შედეგების არანაკლებ 90%-იანი სანდოობა, ქვეყნის მასშტაბით ინტერვიუს განსახორციელებლად შეირჩა 9500 საწარმო. აღნიშნული საწარმოები შერჩეული იქნა საქსტატში არსებული ბიზნეს რეგისტრიდან. გარდა ამისა, 1000 საწარმო შერჩეული იქნა, როგორც სარეზერვო საწარმოები, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო ზუსტად 9500 საწარმოსგან ინფორმაციის შეგროვება.

კვლევის ფარგლებში, მსხვილი (546 საწარმო) და საშუალო ზომის საწარმოები (2,160 საწარმო) გამოიკითხა სრული მოცვით, ხოლო მცირე ზომის საწარმოები შეირჩა შემთხვევითი სტრატიფიცირებული შერჩევით.

კვლევის შერჩევის მოცულობის დასადგენად გამოყენებული იქნა შემდეგი ფორმულა:

[1] ILO, ETF, CEDEFOP (2017), “Developing and Running an Establishment Skills Survey”, https://www.ilo.org/skills/pubs/WCMS_548324/lang--en/index.htm

[2] **მსხვილ** საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ ლარს. **საშუალო** ზომის საწარმოებს მიეკუთვნება საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენს 50-დან 250 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ ლარიდან 60 მლნ ლარამდე. **მცირე** ზომის საწარმოებს მიეკუთვნება საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ ლარს.

$$n = \frac{\mathrm{p}(1-\mathrm{p})*\mathrm{N}*Z^2_{(1+q)/2}}{\mathrm{p}(1-\mathrm{p})*Z^2_{\frac{1+q}{2}}+N*d^2} * deff$$

სადაც,

N არის პოპულაციის მოცულობა

d - მაქსიმალური დასაშვები ცდომილება

q - საიმედოობის დონე

$Z^2_{\frac{1+q}{2}}$ - სტანდარტული ნორმალური განაწილების (1+ q)/2 დონის ქვანტილი

$deff$ - დიზაინ ეფექტის მნიშვნელობა.

კვლევის საველე სამუშაოები, შედეგების ელექტრონული ბაზის შექმნა, მონაცემთა ბაზის გაწმენდა და მასში ხარვეზების/უზუსტობების აღმოფხვრა და კვლევის შედეგების განზოგადება განახორციელა საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა. კვლევის შედეგების **ანალიზი და კვლევის ანგარიში მომზადდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ.**

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენს საწარმოების მიერ მოთხოვნადი პროფესიული უნარების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მისი ანალიზი. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე შევისწავლეთ საწარმოებში ადამიანურ კაპიტალთან დაკავშირებული ძირითადი მოთხოვნები, რაც ხელს შეუწყობს უნარებთან მიმართებით შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნა-მიწოდებას შორის შეუსაბამობის შემცირებას, უნარების მოხმარების ეკონომიკური ეფექტის ზრდას.

კვლევის ობიექტი

კვლევის ობიექტია იმ მოთხოვნადი პროფესიული უნარების შესწავლა, რომელსაც მოითხოვს დამსაქმებელი და რომელიც აუცილებელია პიროვნების დასაქმებისა და სამუშაოს კვალიფიციურად შესრულებისთვის.

კვლევის ამოცანები

- დასაქმების სტრუქტურის შესწავლა სამუშაოს განაკვეთის, განათლების მიღწეული დონეების, სქესის, ეკონომიკურ საქმიანობათა სახეებისა და დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO-08) ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით. დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის გამოვლენა ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით;

- დამსაქმებლის მიერ დასაქმებულთა უნარების შეფასება დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO-08) ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით;
- სამუშაო ძალაზე მოთხოვნის კომპონენტის განსაზღვრა დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO-08) ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით. ამასთან ვაკანსიების შევსებასთან დაკავშირებული სირთულეების გამოვლენა;
- სამუშაო ძალაზე მოთხოვნისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესწავლა;
- მომდევნო 5 წლის განმავლობაში სამუშაო ძალის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს საწარმოებში საპენსიო ასაკის მქონე ადამიანების გადინებას და სხვა საჭიროებით გამოწვეულ არსებული სამუშაო ძალის ახლით ჩანაცვლების შესაძლებლობებს.
- დასაქმებულთა განვითარებაზე საწარმოების მიერ განხორციელებული ქმედებების შესწავლა;
- პროფესიული განათლების მქონე ადამიანების დასაქმების ტენდენციების, ასევე პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის ტენდენციების გამოვლენა;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმების თაობაზე ინფორმაციის მოძიება და მათი დასაქმების მიზეზების შესწავლა; დამწყები მუშახელის დასაქმების ტენდენციების გამოვლენა;
- საწარმოებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების და აღნიშნულიდან გამომდინარე სამუშაო ძალაზე შესაძლო მოთხოვნის ზრდის ან შემცირების გამოვლენა.


კვლევის ანგარიში

სექცია 1: ძირითადი ინფორმაცია სამუშაო ძალის სტრუქტურისა და მახასიათებლების შესახებ

2022 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, დასაქმებულთა რაოდენობამ **815,354 ადამიანი** შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 6%-ით მეტია. აქედან, დასაქმებულთა 91% სრულ განაკვეთზეა დასაქმებული, ხოლო 9% არასრულ განაკვეთზე.

გენდერულ ჭრილში დასაქმებულთა განაწილება კაცების უპირატესობით ხასიათდება, შესაბამისად კაცების წილი 54%-ია (442,161 დასაქმებული), ხოლო ქალების - 46% (373,193 დასაქმებული).

დიაგრამა 1 დასაქმების სტრუქტურა (2021-2022 წლები)




აღსანიშნავია, რომ დასაქმება ქალებში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 7.3%-ით გაიზარდა, ხოლო კაცებში - 4.7%-ით.

საწარმოთა ზომის მიხედვით დასაქმების მხრივ ლიდერობს მსხვილი ზომის საწარმოები (42%), მას მოჰყვება მცირე (39%) და საშუალო (20%) ზომის საწარმოები.

კვლევის თანახმად, განათლების მიღწეული დონეების მიხედვით დასაქმებულთა უმრავლესობა (57%) ფლობს უმაღლეს განათლებას, მეოთხედი (25%) საშუალოს, ხოლო ყველაზე დაბალია პროფესიული განათლების მქონეთა წილი (18%).


დიაგრამა 2 დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომისა და განათლების მიღწეული დონის მიხედვით



რეგიონების მიხედვით დასაქმებულთა განაწილება გვიჩვენებს, რომ უმრავლესობა თბილისშია დასაქმებული. დედაქალაქში დასაქმებულთა წილი მთლიანი დასაქმების 69%-ია. შემდეგ მოდის აჭარა - 9%, იმერეთი - 6% და ქვემო ქართლი - 5%. უფრო დაბალია დასაქმებულთა ხვედრითი წილი შემდეგ რეგიონებში - სამეგრელო-ზემო სვანეთი (3%), კახეთი (2%), შიდა ქართლი (2%), სამცხე-ჯავახეთი (1%), მცხეთა-მთიანეთი (1%), გურია (1%), რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი (0.2%), რომლის ჯამური მაჩვენებელი არ აღემატება 11%-ს.


აღსანიშნავია, რომ წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით დასაქმება გაზრდილია თითქმის ყველა რეგიონში, მათ შორის გამორჩეულია რაჭა-ლეჩხუმი +15%.

დიაგრამა 3 დასაქმებულთა განაწილება რეგიონების მიხედვით




ეკონომიკური საქმიანობების სახეების მიხედვით თითქმის მეოთხედი ვაჭრობაშია (24%) დასაქმებული. მაღალია დასაქმების ხვედრითი წილი დამამუშავებელ მრეწველობაში (12%), ჯანდაცვაში (10%), მშენებლობაში (9%), ტრანსპორტში (7%), ტურიზმში (6%), ინფორმაცია და კომუნიკაციაში (6%). **2022 წელს წინა წელთან შედარებით დასაქმება თითქმის ყველა სექტორში გაიზარდა**, ხოლო მათგან გამოსარჩევია: ინფორმაცია და კომუნიკაცია - 33%, ტურიზმი - 16%, ხელოვნება, გართობა და დასვენება - 16%, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა - 10%.

დიაგრამა 4 დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (2022)



კვლევის ერთ-ერთი ამოცანას წარმოადგენს დასაქმების სტრუქტურის შესწავლა დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO 08) როგორც ძირითადი, ასევე ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით. ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით დასაქმებულთა განაწილება ასე გამოიყურება:

დიაგრამა 5 დასაქმებულთა განაწილება ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით




2022 წელს წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით **დასაქმება გაიზარდა ყველა პროფესიულ ჯგუფში**. ორნიშნა პროცენტული მაჩვენებლით დასაქმება გაიზარდა სოფლის მეურნეობისა (18%) და ოფისის დამხმარე პერსონალის ძირითად პროფესიულ ჯგუფში (10%).

ასევე ზრდა დაფიქსირდა სპეციალისტების (9%), მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირების (8%), მენეჯერების (8%), დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორების (5%), დამწყები კვალიფიკაციის მუშახელის (1%), ტექნიკოსების და დამხმარე სპეციალისტების (1%) ძირითად პროფესიულ ჯგუფებში.


2022 წელს **საშუალო თვიურმა ხელფასმა 1,334 ლარი** შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით **6%-ით მეტია**. ანაზღაურების მხრივ გამოირჩევა მსხვილი ზომის საწარმოები (2,454 ლარი), მას მოჰყვება საშუალო (2,206 ლარი) და შემდეგ მცირე ზომის საწარმოები (1,149 ლარი).

დიაგრამა 6 დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი (2022)



არსებული საშუალო თვიური ხელფასი რეგიონულ ჭრილში ასე გამოიყურება:

დიაგრამა 7 საშუალო თვიური ხელფასი რეგიონების მიხედვით (2022)




რეგიონების მიხედვით, დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყველაზე მაღალი საშუალო ხელფასი დედაქალაქშია (1,541 ლარი), ხოლო ყველაზე დაბალი სამცხე-ჯავახეთში (833 ლარი). ამასთან, 2022 წელს საშუალო თვიური ხელფასი წინა წლის

ანალოგიურ პერიოდთან შედარებით **ყველა რეგიონში გაიზარდა**, მათგან გამოირჩევა რაჭა (10%), სამეგრელო ზემო სვანეთი (9)%, მცხეთა-თიანეთი (8%) და ქვემო ქართლი (8%).

2022 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი, ISCO-ს ძირითადი **პროფესიული ჯგუფების** მიხედვით, მენეჯერებს აქვთ - 2,072 ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 6%-ით აღემატება, ხოლო ყველაზე დაბალი საშუალო ხელფასი დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელის ჯგუფის წარმომადგენლებთან დაფიქსირდა - 572 ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 7%-ით აღემატება.


დიაგრამა 8 საშუალო თვიური ხელფასი ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით (2022)



დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO 2008) ძირითად პროფესიულ ჯგუფებში მაღალი ანაზღაურებით გამოირჩევა ელემენტარული ჯგუფები: **მენეჯერებში** - კვლევებსა და დამუშავებების მენეჯერები (3.198 ლარი); **სპეციალისტებში** - სისტემური ანალიტიკოსები (IT) (3.368 ლარი); ტექნიკოსებში - თვითმფრინავების პილოტები (6,190 ლარი); **ოფისის პერსონალში** - მიმღების ოპერატორები (ზოგადი პროფილის) (2,352 ლარი); **მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალში** - ტრანსპორტის კონდუქტორები (1,574 ლარი); **სოფლის მეურნეობის კვალიფიციურ მუშაკებში** - ღრმა წყლების მეთევზეობის სფეროს მუშაკები (2,343 ლარი); **ხელოსნებსა და მონათესავე პროფესიების მუშაკებში** - შუშის დამამზადებლები, მჭრელები, მხეხავები და გამპრიალებლები (2,767 ლარი); **სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორებსა და ამწყობებში** - ელექტრული და ელექტრონული აღჭურვილობის ამწყობები (2,700 ლარი); **დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელში** - გარე მოვაჭრეები (გარდა საკვები პროდუქტების გამყიდველებისა) (2,472 ლარი). ზოგადად ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი, ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით, თვითმფრინავების პილოტებს აქვთ.

ყველაზე მაღალანაზღაურებადი პროფესიული ჯგუფების პირველი ათეული ასე გამოიყურება:

დიაგრამა 9 საშუალო თვიური ხელფასი ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით



ეკონომიკური საქმიანობების სახეების მიხედვით ანაზღაურება მაღალია საფინანსო (2 439 ლარი), ენერგეტიკის (2 323 ლარი) და ინფორმაცია-კომუნიკაციის(2 234 ლარი)ექტორებში. 1000 ლარზე ნაკლები საშუალო თვიური ხელფასი დაფიქსირდა სამ სექტორში: განათლება 951₾ (+3%), სასტუმროები და რესტორნები 894₾ (+4%) და სხვა სახის მომსახურება 593₾ (+4%).


საშუალო თვიური ხელფასი და ხელფასის წლიური ზრდა (NACE rev.2) - 2022

საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	2,439 ₾	+8%
ენერგეტიკა	2,323 ₾	+8%
ინფორმაცია და კომუნიკაცია	2,234 ₾	+12%
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1,871 ₾	+2%
მშენებლობა	1,862 ₾	+6%
წყალმომარაგება	1,532 ₾	+5%
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	1,531 ₾	+10%
ხელოვნება, გართობა და დასვენება	1,507 ₾	+12%
ტრანსპორტირება და დასაწყობება	1,484 ₾	+6%
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	1,318 ₾	+8%
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	1,276 ₾	+3%
დამამუშავებელი მრეწველობა	1,197 ₾	+5%
საბითუმო და საცალო ვაჭრობა	1,193 ₾	+8%
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	1,140 ₾	+6%
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1,134 ₾	+5%
განათლება	951 ₾	+3%
სასტუმროები და რესტორნები	894 ₾	+4%
სხვა სახის მომსახურება	593 ₾	+4%

კვლევის ერთ-ერთ ამოცანას მომდევნო **5 წლის განმავლობაში სამუშაო ძალის დაბერების შესწავლა წარმოადგენს**. შესაბამისად კითხვარი მოიცავდა კითხვებს მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკს მიღწეული და სავარაუდოდ რეალურად პენსიაზე გამსვლელი დასაქმებულების გამოვლენის თაობაზე. კვლევამ აჩვენა, რომ მომდევნო 5 წლის განმავლობაში

დასაქმებულების **10% (82 953 დასაქმებული)** მიაღწევს საპენსიო ასაკს, რომელთა 54% კაცია, ხოლო 46% ქალი. საპენსიო ასაკს მიღწეულ დასაქმებულთა 47% მცირე ზომის საწარმოებში არიან დასაქმებულები, 36% მსხვილი ზომის საწარმოებში, ხოლო 17% საშუალო ზომის საწარმოებში. მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა 68% თბილისზე მოდის.


დიაგრამა 10 საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა განაწილება სქესის, საწარმოთა ზომისა და რეგიონების მიხედვით



რაც შეეხება **სექტორულ ჭრილს,** მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკის დასაქმებულთა ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი ამ სექტორის მთლიან დასაქმებაში[3] ფიქსირდება ენერგეტიკის (21%), უძრავი ქონების (21%), ვაჭრობის (19%), დამამუშავებელი მრეწველობის (14%), ჯანდაცვისა (11%) და ტრანსპორტის(11%) სექტორებში. ამასთან, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორში (3%) დაფიქსირდა. ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით მომდევნო 5 წლის განმავლობაში სექტორის მთლიან დასაქმებაში საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა ხვედრით წილის თაობაზე სრული სურათი ასე გამოიყურება:

[3] საპენსიო ასაკს მიღწეულ დასაქმებულთა რაოდენობა სექტორში / დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობა სექტორში

დიაგრამა 11 მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა წილი ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით[4]



რაც შეეხება მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკს მიღწეულ დასაქმებულთა განაწილებას **მთლიან დასაქმებაში** დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO 2008) ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით, აღნიშნული შემდეგნაირად გამოიყურება: სპეციალისტების ჯგუფზე მოდის 25%, მენეჯერებზე 19%, დამწყები კვალიფიკაციის მუშახელზე 14%, მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირებსა და ხელოსნებისა და მონათესავე სფეროების მუშებზე 12-12%. დანარჩენი ჯგუფების ინდივიდუალური წილი 10%-ზე დაბალია.

დაბერების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი[5] ISCO 2008-ის **ძირითადი პროფესიული ჯგუფების** მიხედვით, არის სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციურ მუშაკებში (18%), ყველაზე დაბალი კი ოფისის დამხმარე პერსონალში (5%). სრული სურათი ასე გამოიყურება:

მენეჯერები	10%
სპეციალისტები	12%
ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები	7%
ოფისის დამხმარე პერსონალი	5%
მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები	7%
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები	18%
ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები	11%
დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები	12%
დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი	15%

მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულები მაღალი ხვედრითი წილით იქნება წარმოდგენილი შემდეგ **ელემენტარულ პროფესიულ ჯგუფებში**: ქალაქისა და სატრანსპორტო კვანძების მგეგმავები (71%), აკვაკულტურის და მეთევზეობის სფეროში


[4] A - სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა; B - სამთომოპოვებითი მრეწველობა; C - დამამუშავებელი მრეწველობა; D - ენერგეტიკა; E - წყალმომარაგება; F - მშენებლობა; G - საბითუმო და საცალო ვაჭრობა; H - ტრანსპორტირება და დასაწყობება; I - სასტუმროები/რესტორნები; J - ინფორმაცია და კომუნიკაცია; K - საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები; L - უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები; M - პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები; N - ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები; P - განათლება; Q - ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები; R - ხელოვნება, გართობა და დასვენება; S - სხვა სახის მომსახურება;

[5] საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულები ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით / დასაქმებულები ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით

წარმოების მენეჯერები (48%), აუდიოლოგები და მეტყველების სპეციალისტები (38%), სატყეო მეურნეობის და მონათესავე სფეროების მუშაკები (33%), გეოლოგები და გეოფიზიკოსები (33%). ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (<1%) შემდეგ პროფესიულ ჯგუფებში ფიქსირდება - სწრაფი კვების კერძების დამამზადებლები, მონაცემთა ბაზის დიზაინერები და ადმინისტრატორები, სამოგზაურო ბიუროების თანამშრომლები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გაყიდვების სპეციალისტები, სამართლის სფეროს სპეციალისტები, საკრედიტო და სესხის ოფიცრები.

კვლევის თანახმად, მომდევნო 5 წლის განმავლობაში, დამსაქმებელთა აზრით საპენსიო ასაკს მიღწეულთაგან **პენსიაზე სავარაუდოდ გამსვლელთა რაოდენობა 7 028 დასაქმებულია**, რაც მთლიანი დასაქმების **1%**, ხოლო საპენსიო ასაკს მიღწეული დასაქმებულების **8.5%**-ს შეადგენს, რომელთაგან 54% კაცია, ხოლო 46% ქალი. პენსიაზე სავარაუდოდ გამსვლელთა ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მცირე ზომის (52%) საწარმოებზე, ხოლო რეგიონულ ჭრილში დედაქალაქზე (64%) მოდის. აღნიშნული მაჩვენებელი მსხვილი ზომის საწარმოებში 29%-ს, ხოლო საშუალო ზომის საწარმოებში 19%-ს შეადგენს.


დიაგრამა 12 მომდევნო 5 წლის განმავლობაში პენსიაზე სავარაუდოდ რეალურად გამსვლელთა წილი სქესის, საწარმოთა ზომისა და რეგიონების მიხედვით



დამსაქმებელთა აზრით, მომდევნო 5 წლის განმავლობაში, პენსიაზე სავარაუდოდ გამსვლელთა მაღალი ხვედრითი წილით ISCO 2008-ის **ძირითადი პროფესიულ ჯგუფებში** გამოირჩევა:

სპეციალისტები (27%), დამწყები კვალიფიკაციის მუშახელი (16%), მენეჯერები (15%), ხელოსნები (13%), მომსახურებისა და გაყიდვების სფეროში დასაქმებული პირები (11%).

დიაგრამა 13 პენსიაზე სავარაუდოდ გამსვლელთა წილი დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO 08) ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით



ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით მომდევნო 5 წლის განმავლობაში პენსიაზე სავარაუდოდ რეალურად გამსვლელთა მაღალი ხვედრითი წილი ფიქსირდება დამამუშავებელ მრეწველობასა (20%) და ვაჭრობაში (18%).

რაც შეეხება მომდევნო 5 წლის განმავლობაში თითოეულ სექტორში საპენსიო ასაკს მიღწეულ დასაქმებულებიდან პენსიაზე სავარაუდოდ რეალურად გამსვლელთა წილს ამ სექტორის დასაქმებაში, აღნიშნული მაჩვენებელი **ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების** მიხედვით ყველაზე მაღალი სოფლის მეურნეობის სექტორშია (17%), შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა (13%), განათლება 12%, ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები - 11%.

მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკს მიღწეულ დასაქმებულთაგან პენსიაზე სავარაუდოდ რეალურად გამსვლელთა წილი[6] **ძირითადი პროფესიული ჯგუფების** მიხედვით საპენსიო ასაკს მიღწეულ დასაქმებულებში, ყველაზე მაღალი ოფისის დამხმარე პერსონალშია - 10%, ყველაზე დაბალი სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციურ მუშაკებში. სრული სურათი ასე გამოიყურება:

მენეჯერები	7%
სპეციალისტები	9%
ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები	9%
ოფისის დამხმარე პერსონალი	10%
მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები	8%
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები	4%

[6] ძირითად პროფესიულ ჯგუფში მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკს მიღწეულ დასაქმებულთაგან პენსიაზე სავარაუდოდ რეალურად გამსვლელების რაოდენობა / ძირითად პროფესიულ ჯგუფში მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკს მიღწეულ დასაქმებულთა რაოდენობა

ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები	9%
დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები	7%
არაკვალიფიციური მუშაკები	9%

მომდევნო 5 წლის განმავლობაში, პენსიაზე სავარაუდოდ გამსვლელთა წილი[7], საპენსიო ასაკს მიღწეულ დასაქმებულებში, **ელემენტარული პროფესიული ჯგუფების** მიხედვით (მინიმუმ 100 დასაქმებული) ყველაზე მაღალია მცხობელების, კონდიტერებისა და ტკბილეულის დამამზადებლების ჯგუფში (24%), შემდეგ მოდის საშუალო სკოლის მასწავლებლების (20%), ოფისის დამხმარე პერსონალის (სხვა დაჯგუფებაში ჩაურთველი) (20%), დამწყები კვალიფიკაციის მუშების (სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი) (13%), სატვირთო ავტომობილების მძღოლების (12%), შენობის კარკასის მშენებლების (სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი) (12%), ბუღალტრების (10%) და დარაჯების (10%) ელემენტარული ჯგუფები.

[7] ელემენტარულ პროფესიულ ჯგუფში მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკს მიღწეულ დასაქმებულთაგან პენსიაზე სავარაუდოდ რეალურად გამსვლელების რაოდენობა / ელემენტარულ პროფესიულ ჯგუფში მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკს მიღწეულ დასაქმებულთა რაოდენობა


სექცია 2 – დასაქმებულთა უნარების შეფასება

კვლევის ფარგლებში, დამსაქმებელთა მიერ დასაქმებულთა უნარები შეფასდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: საბაზისო უნარები (წიგნიერება, არითმეტიკა), კომპიუტერული უნარები, უცხო ენების ცოდნა, კომუნიკაციის და სხვა სოციალურ-ემოციური უნარები, ტექნიკური უნარები (მოწყობილობების, ხელსაწყოების, მასალების გამოყენება), ფიზიკური უნარები (ფიზიკური სამუშაოს შესრულება). ამასთანავე, შესწავლილ იქნა დამსაქმებელთა მოთხოვნა სამუშაო გამოცდილების მინიმალურ ხანგრძლივობაზე, რომელიც მოეთხოვება დასაქმების მსურველს საწარმოში სამუშაოს განსახორციელებლად.

კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხულ საწარმოთა 68% აცხადებს, რომ გამოცდილება, რომელიც მოითხოვება საწარმოში სამუშაოს/საქმის განსახორციელებლად მინიმუმ ერთ წელია, 30%-ის თანახმად კი საწარმოში სამუშაოს განსახორციელებლად სამუშაო გამოცდილება არ მოითხოვება. აღნიშნული შედეგები ეკონომიკურ საქმიანობათა სექტორების მიხედვით ასე გამოიყურება:

- „მინიმუმ 1 წელი“ - ენერგეტიკის სექტორში - 92%, ICT სექტორში - 84%, განათლების სექტორში - 83%, ჯანდაცვა - 82%. შედარებით ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი სოფლის მეურნეობის სექტორში დაფიქსირდა - 54%
- „გამოცდილების გარეშე“ - სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა - 43%, ვაჭრობა 39%, სასტუმრო და რესტორნები 39%, უძრავი ქონება - 33%.


დიაგრამა 14 სამუშაო გამოცდილების მინიმალური ხანგრძლივობა, რომელიც მოეთხოვება დასაქმების მსურველს საწარმოში სამუშაოს განსახორციელებლად



კვლევის თანახმად, საწარმოთა 79% მიიჩნევს რომ დასაქმებულთა უნარები უმეტესად შეესაბამება საჭირო უნარებს, 16% მიიჩნევს, რომ დასაქმებულებს უმეტესად გააჩნიათ უნარები უფრო კომპლექსური დავალებების შესასრულებლად, ხოლო 5% მიიჩნევს, რომ დასაქმებულთა უნარები საჭიროებს განვითარებას.

იმ საწარმოების 38%, სადაც მიიჩნევენ, რომ დასაქმებულებს ესაჭიროებათ გადამზადება, მიეკუთვნება ვაჭრობის სექტორს, 14% - დამამუშავებელ მრეწველობას, 10% - სასტუმროებსა და რესტორნებს, 8% - მშენებლობას.


დიაგრამა 15 დასაქმებულთა უნარების ზოგადი შეფასება




კვლევის შედეგად, საწარმოთა მიერ შეფასდა უნარები (საბაზისო უნარები, კომპიუტერული უნარები, უცხო ენები, კომუნიკაციის და სხვა სოციალურ-ემოციური უნარები, ტექნიკური და ფიზიკური უნარები) მათი მნიშვნელოვანების მიხედვით, კერძოდ, შესწავლილ იქნა თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს უნარები საწარმოს თანამშრომელთა მიერ მათი ფუნქციების შესასრულებლად. დამსაქმებელთა მიერ უნარები შემდეგი სახით შეფასდა:

- ✓ საბაზისო უნარები (წიგნიერება, არითმეტიკა) - არსებითად მნიშვნელოვანი 56%, გარკვეულწილად მნიშვნელოვანი 43%, უმნიშვნელო/არარელევანტური 1%;
- ✓ კომპიუტერული უნარები - არსებითად მნიშვნელოვანი 36%, გარკვეულწილად მნიშვნელოვანი 47%, უმნიშვნელო/არარელევანტური 17%;
- ✓ უცხო ენები - არსებითად მნიშვნელოვანი 16%, გარკვეულწილად მნიშვნელოვანი 47%, უმნიშვნელო/არარელევანტური 37%;
- ✓ კომუნიკაციის და სხვა სოციალურ-ემოციური უნარები - არსებითად მნიშვნელოვანი 50%, გარკვეულწილად მნიშვნელოვანი 42%, უმნიშვნელო/არარელევანტური 8%;
- ✓ ტექნიკური უნარები (მოწყობილობების, ხელსაწყოების, მასალების გამოყენება) - არსებითად მნიშვნელოვანი 38%, გარკვეულწილად მნიშვნელოვანი 44%, უმნიშვნელო/არარელევანტური 18%;
- ✓ ფიზიკური უნარები (ფიზიკური სამუშაოს შესრულება) - არსებითად მნიშვნელოვანი 33%, გარკვეულწილად მნიშვნელოვანი 43%, უმნიშვნელო/არარელევანტური 24%.

დიაგრამა 16 დამსაქმებელთა მიერ დასაქმებულთათვის საჭირო უნარების შეფასება





რაც შეეხება უნარების შეფასებას **ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების** მიხედვით, კვლევამ აღნიშნული თვალსაზრისით შემდეგი სურათი მოგვცა:


- ✓ საბაზისო უნარები (წიგნიერება, არითმეტიკა) – „არსებითად მნიშვნელოვანი“ პასუხის ყველაზე მაღალი წილი დაფიქსირდა შემდეგ სექტორებში - განათლება 83%, ინფორმაცია და კომუნიკაცია 79%, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები 76%, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები 74%, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება 71%; „გარკვეულ წილად მნიშვნელოვანი“ - სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება 68%, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა 63%, წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები 63%, სხვა სახის მომსახურება 61%, დამამუშავებელი მრეწველობა 59%;
- ✓ კომპიუტერული უნარები - „არსებითად მნიშვნელოვანი“ პასუხი სექტორულად ასე გადანაწილდა: ინფორმაცია და კომუნიკაცია 79%, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები 71%, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები 70%. „გარკვეულწილად მნიშვნელოვანი“ - სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება 67%, წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები 63%, სასტუმროები და რესტორნები

55%; „უმნიშვნელო“ - სხვა სახის მომსახურება 47%, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა 40%, დამამუშავებელი მრეწველობა 31%;

- ✓ უცხო ენების ცოდნა - „არსებითად მნიშნელოვანი“ პასუხი სექტორულად ასე გადანაწილდა: ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები 49%, ინფორმაცია და კომუნიკაცია 42%, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები 38%. „გარკვეულწილად მნიშვნელოვანი“ - ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები 61%, ხელოვნება, გართობა და დასვენება 59%, სხვა სახის მომსახურება 56%. „უმნიშვნელო“ - სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება 72%, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა 65%, დამამუშავებელი მრეწველობა 58%;
- ✓ კომუნიკაციის და სხვა სოციალურ-ემოციური უნარები - „არსებითად მნიშვნელოვანი“ პასუხის წილები სექტორულად ასე გადანაწილდა: განათლება - 75%, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები 73%, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები 71%; „გარკვეულწილად მნიშვნელოვანი“ - სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება 68%, წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები 66%, მშენებლობა 54%; „უმნიშვნელო“ - სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა 15%, ხელოვნება, გართობა და დასვენება 13%, სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება 12%;
- ✓ ტექნიკური უნარები (მოწყობილობების, ხელსაწყოების, მასალების გამოყენება) - „არსებითად მნიშვნელოვანი“ პასუხი სექტორულად ასე გადანაწილდა: ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება 74%, ინფორმაცია და კომუნიკაცია 61%, დამამუშავებელი მრეწველობა 56%; „გარკვეულწილად მნიშვნელოვანი“ - სასტუმროები და რესტორნები 60%, ხელოვნება, გართობა და დასვენება 57%, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა 53%. „უმნიშვნელო“ - უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები 35%, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები 34%, ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები 27%;
- ✓ ფიზიკური უნარები (ფიზიკური სამუშაოს შესრულება) - „არსებითად მნიშვნელოვანი“ პასუხის წილები სექტორულად ასე გადანაწილდა: სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა 65%, მშენებლობა 53%, დამამუშავებელი მრეწველობა 51%; „გარკვეულწილად მნიშვნელოვანი“ - სასტუმროები და რესტორნები 52%, წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები 51%, ვაჭრობა 49%, „უმნიშვნელო“ - საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები 62%, განათლება 50%, ინფორმაცია და კომუნიკაცია 49%.

კვლევის თანახმად, საწარმოების თითქმის ნახევარზე მეტი (52%) დასაქმებულთა უნარებთან დაკავშირებული პრობლემების დასაძლევად სპეციალურ ღონისძიებებს არ მიმართავს, დამატებით ტრენინგის ჩატარებას - 20% მიმართავს, ახალი კვალიფიციური კადრი აჰყავს - 18%-ს, ხოლო სამუშაო პრაქტიკას ცვლის - 10%.

დიაგრამა 17 ძირითადი ღონისძიებები, რომლებიც ტარდება დასაქმებულთა უნარებთან დაკავშირებული პრობლემების დასაძლევად



კვლევის თანახმად, ახალი კვალიფიციური კადრის აყვანას ყველაზე მეტად წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობების სექტორში მიმართავენ (41%), დამატებით ტრენინგების ჩატარებას - ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობების სექტორში (44%), სამუშაო პრაქტიკის შეცვლას - წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობების სექტორში (37%). უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობების სექტორში კი სპეციალურ ღონისძიებებს (76%) არ ახორციელებენ.

სექცია 3 – ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ


სამუშაო ძალაზე არსებული მოთხოვნის გამოვლენის მიზნით, კვლევის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა საწარმოებში არსებული და გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობის შესწავლა საწარმოთა ზომის, რეგიონების, ეკონომიკური საქმიანობების და პროფესიული ჯგუფების მიხედვით.

2022 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, ბოლო 1 წლის განმავლობაში, საწარმოთა 32%-ს **(15, 617 საწარმოს)** ქონდა ვაკანსია, რომელმაც ჯამში **137,921 ვაკანსია** შეადგინა**.**

ვაკანსიის მქონე საწარმოები, **რეგიონების** მიხედვით ასე გადანაწილდა: საწარმოთა 60% თბილისზე მოდის, ხოლო 40% დანარჩენ რეგიონებზე. ამასთან, **საწარმოთა ზომის** მიხედვით, საწარმოების უმრავლესობა (88%) მცირე ზომის საწარმოებს განეკუთვნება, 9% - საშუალო ზომის საწარმოებს, ხოლო 3% - მსხვილი ზომის საწარმოებს.


რაც შეეხება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით, საწარმოები შემდეგნაირად განაწილდა: 36% - ვაჭრობა, 11% - დამამუშავებელ მრეწველობა, 10% - სასტუმროები/რესტორნები, 9% - მშენებლობა, 6% - პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები, 5% - ტრანსპორტირება და დასაწყობება, 3% - ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები, 3% - ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები, 3% - ინფორმაცია და კომუნიკაციის საქმიანობები, 3% - სხვა სახის მომსახურება, 2% - სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა, 2% - განათლებას, 2% - უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები, 1% - ხელოვნება, გართობა და დასვენების საქმიანობები, 1% - საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები, 1% - სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების საქმიანობები, 0.5% - ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება, 0.2% - წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები.

დიაგრამა 18 ვაკანსიების მქონე საწარმოთა განაწილება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით



ვაკანსიების ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით ხასიათდებიან მსხვილი ზომის საწარმოები - 84% (546 საწარმოდან ვაკანსია ჰქონდა 458-ს), შემდეგ მოდის საშუალო ზომის - 65% (1 404 საწარმო 2 160-დან) და ბოლოს მცირე ზომის საწარმოები 30% (13 755 საწარმო 46 438-დან).

დიაგრამა 19 ვაკანსიების ხვედრითი წილი საწარმოთა ზომის მიხედვით




ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით, ვაკანსიების მქონე საწარმოთა ხვედრითი წილი[8] ყველაზე მაღალი სასტუმროები/რესტორნების სექტორშია - 42%, ყველაზე დაბალი უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობების სექტორში - 14%. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ვაკანსიის მქონე საწარმოთა ხვედრითი წილები სექტორების მიხედვით:

სასტუმროები/რესტორნები	42%
ხელოვნება, გართობა და დასვენება	39%
განათლება	39%
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	38%
ინფორმაცია და კომუნიკაცია	37%
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	36%
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	35%
სხვა სახის მომსახურება	35%
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	33%
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	33%
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	32%
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	32%
დამამუშავებელი მრეწველობა	31%
მშენებლობა	29%
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	27%
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	24%
ტრანსპორტირება და დასაწყობება	23%
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	14%

ბოლო ერთი წლის განმავლობაში **არსებული ვაკანსიების** რაოდენობამ **137,921** შეადგინა, რომელთაგან საწარმოებს გამოცხადებული ქონდა **115,756 ვაკანსია,** რაც არსებული ვაკანსიების **84%**-ს შეადგენს. გამოცხადებული ვაკანსიების 43% (50,221 ვაკანსია) მსხვილი ზომის საწარმოებზე მოდის, 17% (21,365 ვაკანსია) საშუალო ზომის საწარმოებზე, ხოლო 33% (44,170 ვაკანსია) მცირე ზომის საწარმოებზე. გამოცხადებული ვაკანსიების 77% თბილისზე მოდის, ხოლო 26% დანარჩენ რეგიონებზე.


[8] სექტორში ვაკანსიის მქონე საწარმოთა რაოდენობა / ამ სექტორში საწარმოთა სრულ რაოდენობასთან.

დიაგრამა 20 ბოლო 1 წლის განმავლობაში, საწარმოების მიერ გამოცხადებული ვაკანსიების განაწილება (საწარმოთა ზომა, რეგიონი)



რაც შეეხება **ეკონომიკური საქმიანობების სახეების** მიხედვით ვაკანსიების განაწილებას, კვლევის თანახმად, ყველაზე მეტი ვაკანსია ვაჭრობის სექტორზე მოდის (26%), შემდეგ მოდის ინფორმაცია და კომუნიკაციის სექტორი (11%), სასტუმროები და რესტორნები (10%), დამამუშავებელი მრეწველობა (10%), მშენებლობა (8%), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები (7%).

დიაგრამა 21 ბოლო 1 წლის განმავლობაში, საწარმოების მიერ გამოცხადებული ვაკანსიების განაწილება სექტორების მიხედვით



დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO 2008) **ძირითადი პროფესიული ჯგუფების** მიხედვით, კვლევის თანახმად გამოცხადებული ვაკანსიები შემდეგნაირად გადანაწილდა: ყველაზე მეტი ვაკანსია მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირებისა (20%) და სპეციალისტებზე (19.8%) მოდის. მას მოყვება მენეჯერები (17%), ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები (10%), ოფისის დამხმარე პერსონალი (10%), დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი (9%), ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები (7%),

დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები (5%), სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები (1%);

გამოცხადებული ვაკანსიების მიხედვით 10 ყველაზე მსხვილ ელემენტარულ პროფესიულ ჯგუფს წარმოადგენს:

მაღაზიების კოსულტანტ-გამყიდველები	5,037
პროგრამისტები	4,944
საქონლის დემონსტრატორები	4,625
შენობის კარკასის მშენებლები და მონათესავე სფეროების მუშები	3,826
გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები	3,645
ოფისის, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დამლაგებლები	3,454
კომერციული მომსახურებისა და ადმინისტრაციის	3,272
მმართველი დირექტორები და უმაღლესი რგოლის მენეჯერები	3,232
მიმტანები	3,013
მზარეულები	2,755

ძირითად პროფესიულ ჯგუფებში, გამოცხადებული ვაკანსიებით შემდეგი ელემენტარული პროფესიული ჯგუფები გამოირჩევიან[9]:


#	#	#	რაოდენობა	წილი
მენეჯერები	1221	გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები	3,645	18%
სპეციალისტები	2512	პროგრამისტები	4,944	22%
ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები	3312	საკრედიტო და სესხის ოფიცრები	1,444	18%
ოფისის დამხმარე პერსონალი	4212	ბუკმეკერები, კრუპიეები და აზარტული თამაშების სფეროში დასაქმებული სხვა პირები	2,487	21%
მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები	5223	მაღაზიების კოსულტანტ-გამყიდველები	5,037	21%
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები	6113	მებაღეები; სანერგე მეურნეობების მუშაკები	221	32%
ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები	7119	შენობის კარკასის მშენებლები და მონათესავე სფეროების მუშები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	3,826	33%
დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები	8332	სატვირთო ავტომობილების მძღოლები	1,870	31%
დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი	9112	ოფისის, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დამლაგებლები და დამხმარეები	3,454	32%

კვლევა ასევე ითვალისწინებს გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეთავაზებული საშუალო ნომინალური ხელფასის შესწავლას. ბოლო ერთი წლის განმავლობაში გამოცხადებულ ვაკანსიებზე აღნიშნული მაჩვენებელი - **1,411** ლარს შეადგენს, რაც ამავე კვლევის თანახმად გამოვლენილ მთლიანი ბიზნეს სექტორის 2022 წლის **საშუალო თვიურ ხელფასს (1,334 ლარი**) 6%-ით აღემატება. ამასთან, ყველაზე მაღალი შეთავაზებული ხელფასი ინფორმაციისა და

[9] მაგ: მენეჯერების ძირითად პროფესიულ ჯგუფში, ყველაზე მეტი ვაკანსია გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერების პოზიციაზე გამოცხადდა - 3,645, რაც მენეჯერების ძირითადი პროფესიული ჯგუფისთვის გამოცხადებული ვაკანსიების 18%-ია


კომუნიკაციის სექტორში გამოცხადებულ ვაკანსიაზეა (2,430₾). მას მოჰყვება საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების სექტორში გამოცხადებულ ვაკანსიაზე შეთავაზებული ხელფასი (2,059₾), ხოლო შემდგომ მშენებლობის სექტორში გამოცხადებულ ვაკანსიაზე შეთავაზებული ხელფასი (1,899₾).

დიაგრამა 22 ბოლო 1 წლის განმავლობაში გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეთავაზებული საშუალო თვიური ხელფასი (სექტორების მიხედვით)



ბოლო 1 წლის განმავლობაში გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეთავაზებული საშუალო ხელფასი, **ძირითადი პროფესიული ჯგუფების** მიხედვით, ყველაზე მაღალი მენეჯერების ჯგუფშია - 2,280₾, შემდეგ მოდიან ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები - 1,458₾. ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალი სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკების ჯგუფშია - 657₾.

დიაგრამა 23 ბოლო 1 წლის განმავლობაში გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეთავაზებული საშუალო თვიური ხელფასი (ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით)




კვლევის თანახმად, 2022 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, გამოცხადებული ვაკანსიებიდან **შეუვსებელი დარჩა 13,893, რაც გამოცხადებული ვაკანსიების 12%-ს შეადგენს.** აქედან 50% (6,933 ვაკანსია) მსხვილი ზომის საწარმოებზე მოდის, 17% (2,308 ვაკანსია) საშუალო ზომის საწარმოებზე, ხოლო 33% (4,652 ვაკანსია) მცირე ზომის საწარმოებზე. რეგიონების მიხედვით

შეუვსებელი ვაკანსიები შემდეგნაირად გადანაწილდა: თბილისი - 74%, დანარჩენი რეგიონები - 26%.

შეუვსებელი ვაკანსიების განაწილება **ეკონომიკური საქმიანობების სახეების** მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება: ვაჭრობა 26%, დამამუშავებელი მრეწველობა 12%, მშენებლობა 12%, ინფორმაცია და კომუნიკაცია 11%, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები 10%.

დიაგრამა 24 შეუვსებელი ვაკანსიების განაწილება (საწარმოთა ზომის, რეგიონების, სექტორების მიხედვით)



შეუვსებელი ვაკანსიები **ძირითადი პროფესიული ჯგუფების** მიხედვით, ყველაზე მეტად მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებულ პირების ჯგუფზე მოდის - 23%, მას მოჰყვება ხელოსნებსა და მონათესავე სფეროების მუშების ძირითადი პროფესიული ჯგუფი - 19%, ოფისის დამხმარე პერსონალი - 14%, მენეჯერები- 12%, სპეციალისტები -12%, დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი -10%, დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები -3%, ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები - 7%, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები - 0.1%.


შეუვსებელი ვაკანსიები **ელემენტარული პროფესიული ჯგუფების** მიხედვით:

შენობის კარკასის მშენებლები და მონათესავე სფეროების მუშები,	1,151	8%
მაღაზიების კოსულტანტ-გამყიდველები	872	6%
საქონლის დემონსტრატორები	868	6%
საკონტაქტო ცენტრის კლერკები	867	6%
ბანკის მოლარეები და მონათესავე სფეროთა კლერკები	600	4%
გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები	487	4%
არაკვალიფიციური მუშები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	365	3%
კომერციული მომსახურებისა და ადმინისტრაციის მენეჯერები,	350	3%
მიმტანები	302	2%
ოფისის, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დამლაგებლები	300	2%

აღსანიშნავია, შეუვსებელი ვაკანსიების წილი[10] **ეკონომიკური საქმიანობების** სახეების მიხედვით. კვლევის თანახმად, ვაკანსიების შევსების პრობლემა ყველაზე მეტად ენერგეტიკის სექტორში გამოვლინდა - გამოცხადებული ვაკანსიების 25% შეუვსებელი დარჩა (გამოცხადებული იყო 1,207, შეუვსებელი 301), შემდეგ მოდის მშენებლობა - 19% (გამოცხადებული - 8,822 შეუვსებელი - 1,635), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები 16% (გამოცხადებული - 8,668 შეუვსებელი - 1,427), დამამუშავებელი მრეწველობა 15% (გამოცხადებული - 11,516 შეუვსებელი - 1,728). ყველაზე დაბალი მაჩვენებელი უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობებში გამოვლინდა - 4% (გამოცხადებული - 1,896 შეუვსებელი - 75).

შეუვსებელი ვაკანსიების წილი[11] **ძირითადი პროფესიული ჯგუფების** მიხედვით ყველაზე მაღალი ხელოსნების და მონათესავე სფეროების მუშების პროფესიულ ჯგუფშია (23%).

დიაგრამა 25 შეუვსებელი ვაკანსიების განაწილება ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით



[10] შეუვსებელი ვაკანსიების რაოდენობა სექტორში/ გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობა სექტორში

[11] შეუვსებელი ვაკანსიების რაოდენობა ძირითად პროფესიულ ჯგუფში/ გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობა ძირითად პროფესიულ ჯგუფში

ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით (სადაც 100-ზე მეტი ვაკანსია გამოცხადდა), შეუვსებელი ვაკანსიების მაღალი წილით[12] გამოირჩევა ლითონდასამუშავებელი ჩარხების ამწყობები და ოპერატორები - 92% (101 შეუვსებელი ვაკანსია, საკონტაქტო ცენტრის კლერკები - 86% (867 შეუვსებელი ვაკანსია), ტექსტილზე, ტყავსა და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავე ოსტატები 76% (152 შეუვსებელი ვაკანსია).

ელემენტარული პროფესიული ჯგუფები	**შეუვსებელი ვაკანსიები**	**წილი**
ლითონდასამუშავებელი ჩარხების ამწყობები და ოპერატორები	101	92%
საკონტაქტო ცენტრის კლერკები	867	86%
ტექსტილზე, ტყავსა და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავე ოსტატები	152	76%
სახლების მშენებლები	235	60%
მომსახურების პუნქტების პერსონალი	134	59%
ძვირფასი ავეჯის დურგლები და მონათესავე სფეროების მუშები	76	51%
დახლისა და ბაზრის გამყიდველები	93	48%
ხორცის, თევზისა და მსგავსი საკვები პროდუქტების გადამმუშავებლები	161	46%
ბიზნეს მომსახურებების აგენტები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	70	39%
დამამუშავებელ მრეწველობაში დასაქმებული არაკვალიფიციური მუშები,	272	33%

კვლევის თანახმად, ვაკანსიების შევსებისას პრობლემა **708 საწარმოს** ქონდა, რაც გამოცხადებული ვაკანსიების მქონე საწარმოების **5%**-ია. აღნიშნული საწარმოებიდან 12% მსხვილი ზომის საწარმოა (რაც იმ მსხვილი ზომის საწარმოთა 22%-ია, რომელმაც ვაკანსია გამოაცხადა), 16% საშუალო ზომის საწარმო (რაც იმ საშუალო ზომის საწარმოთა 9%-ია, რომელმაც ვაკანსია გამოაცხადა), ხოლო 72% მცირე ზომის საწარმო (რაც იმ მცირე ზომის საწარმოთა 4%-ია, რომელმაც ვაკანსია გამოაცხადა). რეგიონების მიხედვით განაწილება გვიჩვენებს, რომ ამ საწარმოთა 72% თბილისზე მოდის, ხოლო 28% დანარჩენ რეგიონებზე.

ვაკანსიების შევსებასთან დაკავშირებული პრობლემებით საწარმოების უმრავლესობა (38%) ვაჭრობის სექტორს განეკუთვნება. მას მოჰყვება: დამამუშავებელი მრეწველობა - 11%, სასტუმროები და რესტორნები - 9%, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები - 5%, სხვა სახის მომსახურებები - 5%, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკურ საქმიანობები - 5%, მშენებლობა - 5%, ინფორმაცია და კომუნიკაცია - 5%, განათლება - 4%, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები - 3%, ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები - 2%, ხელოვნება, გართობა და დასვენება - 2%, ტრანსპორტირება და დასაწყობება - 2%, სამთომოპოვებითი მრეწველობასა და კარიერების დამუშავება - 1%, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები - 1%, წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები - 1%.

ვაკანსიის შევსებისას პრობლემის ყველაზე მაღალი წილით[13] გამოირჩევა საწარმოები შემდეგი სექტორებიდან: საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები - 15%, წყალმომარაგება;


[12] შეუვსებელი ვაკანსიების რაოდენობა ელემენტარულ პროფესიულ ჯგუფში/ გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობა ელემენტარულ პროფესიულ ჯგუფში

[13] სექტორის საწარმოთა რაოდენობა, რომელთაც შეექმნათ პრობლემა გამოცხადებული ვაკანსიის შევსებაზე / სექტორის საწარმოთა რაოდენობა, რომელთაც გამოცხადებული ქონდათ ვაკანსია

კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები -13%, განათლებაი - 11%, სხვა სახის მომსახურება - 10%;

ვაკანსიების შეუვსებლობის მიზეზების თვალსაზრისით, საწარმოთა 26%-ს პრობლემა „აპლიკანტთა რაოდენობის ნაკლებობის“ გამო შეექმნათ, 19%-ის შემთხვევაში „აპლიკანტები არ იყვნენ კვალიფიციურები“, 16%-ის შემთხვევაში - „აპლიკანტებს შეთავაზებულზე მაღალი ხელფასის მოლოდინი ჰქონდათ“, 14%-ის შემთხვევაში „აპლიკანტებს აკლდათ სამუშაო გამოცდილება“, 10%-ის შემთხვევაში „აპლიკანტებს არ მოსწონდათ შეთავაზებული სამუშაო გარემო (ფიზიკურად მძიმე, მისასვლელობა და ა.შ)“, 9%-ის შემთხვევაში „დიდი კონკურენცია სხვადასხვა დამსაქმებლისგან“, 6%-ის შემთხვევაში „არავის მოუმართავს, ხოლო 0.4%-ის შემთხვევაში „აპლიკანტები იყვნენ ზედმეტად კვალიფიციურები“.

დიაგრამა 26 ვაკანსიების შეუვსებლობის მიზეზები




ვაკანსიების შეუვსებლობის მიზეზებად პასუხები ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- ✓ „აპლიკანტები არ იყვნენ კვალიფიციურები“ პასუხის შემთხვევაში, ამ პასუხის დაფიქსირების ყველაზე მაღალი წილი მშენებლობის სექტორში გამოვლინდა - 55% (სულ 66 პასუხი, აქედან 36 აპლიკანტთა არასაკმარის კვალიფიკაციას ეხებოდა). შემდეგ მოდის ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები - 29%, ხელოვნება, გართობა და დასვენება - 28%, განათლება - 28%, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება - 27%;
- ✓ „აპლიკანტებს აკლდათ სამუშაო გამოცდილება“ - ყველაზე მეტად პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების სექტორში დაფიქსირდა - 27%;
- ✓ „აპლიკანტებს უფრო მაღალი ხელფასის მოლოდინი ჰქონდათ, ვიდრე შეთავაზებულ იქნა - ყველაზე მეტად წყალმომარაგების სექტორში - 44%;
- ✓ „აპლიკანტებს არ მოსწონდათ შეთავაზებული სამუშაო გარემო (ფიზიკურად მძიმე, მისასვლელობა და ა.შ)“ - ყველაზე მეტად წყალმომარაგების სექტორში დაფიქსირდა - 38%;
- ✓ „დიდი კონკურენცია სხვადასხვა დამსაქმებლისგან“ - ყველაზე მეტად საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების სექტორში - 25%;

- ✓ „აპლიკანტთა რაოდენობის ნაკლებობა“ - ყველაზე მეტად ტრანსპორტის სექტორში - 36%.

კვლევის თანახმად, გამოკითხვიდან ბოლო 6 თვის განმავლობაში, ვაკანსია **5, 877 საწარმოს** ჰქონდა (რაც, იმ საწარმოთა 38%-ია, რომელთაც ბოლო 1 წლის განმავლობაში ჰქონდათ ვაკანსია), რამაც ჯამში **40,712 ვაკანსია** შეადგინა. აქედან გამოცხადდა **35,291 ვაკანსია** (87%), ხოლო გამოცხადებული ვაკანსიებიდან შეუვსებელი დარჩა **5,445 ვაკანსია** (15.4%).

დიაგრამა 27 გამოცხადებული და შეუვსებელი ვაკანსიები ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით (გამოკითხვიდან ბოლო 6 თვე)




კვლევის თანახმად, 2022 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, გამოკითხვის მომენტში **1,819** საწარმოს **10,602** ვაკანსია ჰქონდა, რომელთაგან გამოცხადებული ქონდათ **9,117** (85%) ვაკანსია.

გამოკითხვის მომენტში გამოცხადებული ვაკანსიები (9,117 ვაკანსია) **ძირითადი პროფესიული ჯგუფების** მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა: მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები - 25%, სპეციალისტები - 19%, დამწყები კვალიფიკაციის მუშახელი -13%, ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები - 12%, მენეჯერები -10%, ოფისის დამხმარე პერსონალი - 10%, ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები - 7%, დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები - 4%, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები - 1%.

კვლევის ფარგლებში, საწარმოში არსებული ვაკანსიებთან მიმართებით შესწავლილ იქნა ისეთი საკითხები, როგორებიცაა ახალი კადრების მოძიების წყაროები, აპლიკანტთა შეფასების გზები, საწარმოს საქმიანობიდან გამომდინარე სამუშაოს მაძიებლის მიერ უცხო ენის ფლობის საჭიროება და სხვა.


როგორც კვლევამ გამოავლინა, ახალი კადრების მოძიების წყაროდ საწარმოთა 52% ნათესავებს, მეგობრებსა და ნაცნობებს ასახელებს, 34% - ინტერნეტს (სოც-ქსელები, ვებგვერდები), 12% - დასაქმების კერძო სააგენტოებს, ხოლო 0.5% - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს პორტალს worknet.gov.ge.

დიაგრამა 28 ახალი კადრის მოძიების წყაროები




კვლევის შედეგების თანახმად საწარმოთა 45% აპლიკანტთა შეფასებას გასაუბრების გზით ახორციელებს, 29% - სამუშაო გარემოში გამოცდით, 18% - რეკომენდაციას ითვალისწინებს, 4% - ატარებს ტესტირებას, ხოლო 3% - სუბიექტური გადაწყვეტილების საფუძველზე ახდენს აპლიკანტთა შეფასებას.

დიაგრამა 29 აპლიკანტთა შეფასების გზები




სამუშაოზე მიღებისას საწარმოების ნახევარი (50%) უპირატესობას ანიჭებენ კანდიდატებს, ვისაც აქვთ გარკვეული „გამოცდილება“, 14% - უპირატესობას ანიჭებენ კანდიდატებს „ვინც ადგილზე გაიარა პრაქტიკა“, 11% - „ვისაც სამუშაო გამოცდილება არ აქვთ, მაგრამ აქვთ მოტივაცია“ , 11% - „ვისაც რეკომენდაცია გაუწია თანამშრომელმა“, 10% - „ვისაც რეკომენდაცია გაუწიეს ახლობლებმა“, 3% - „ვისაც სამუშაო გამოცდილება არ აქვთ, მაგრამ აქვთ შესაბამისი თეორიული ცოდნა“.

დიაგრამა 30 რომელ კანდიდატებს აქვთ უპირატესობა




აპლიკანტთა მიერ უცხო ენის ფლობა არ ესაჭიროებათ საწარმოების 51%-ს, საწარმოების თითქმის მესამედს (28%) უმეტეს შემთხვევაში ესაჭიროება, ხოლო უმეტესად არ ესაჭიროება 21%-ს. ამასთან, მათ ვისაც ესაჭიროებათ, პრიორიტეტულ ენებად დაასახელეს: ინგლისური 74%, რუსული 21%, თურქული 4%, სხვა 2%.

დიაგრამა 31 გესაჭიროებათ თუ არა აპლიკანტის მიერ უცხო ენის ფლობა?



ვაკანსიების შევსებასთან დაკავშირებული პრობლემის აღმოსაფხვრელად, კვლევის თანახმად საწარმოები მიმართავენ სხვადასხვა გზას. კერძოდ, 31.0% იწყებს უფრო ინტენსიურ ძებნას, 13.4% ცვლის სამუშაოს პირობებსა და/ან სხვა გარემოებებს, 8.9%-ის შემთხვევაში დასაქმებულები ასრულებენ ზეგანაკვეთურ სამუშაოს, 8.1%-მა არსებული სამუშაო ძალის გადამზადებით მოაგვარა ვაკანსიის შევსების პრობლემა, 6.3%-ის შემთხვევაში სამუშაოს შესრულების ფუნქცია გადაეცა გარე მომსახურე მხარეს, 6%-მა დროებით დაიქირავა სამუშაო ძალა, ხოლო 25.7%-ს არ მიუმართავს არანაირი ზომებისათვის.

დიაგრამა 32 რა ზომებს მიმართა საწარმომ ვაკანსიის შევსებასთან დაკავშირებული პრობლემის აღმოსაფხვრელად




სექცია 4 – მოთხოვნა სამუშაო ძალაზე

კვლევის ფარგლებში, სამუშაო ძალაზე სამომავლო მოთხოვნის განსაზღვრის მიზნით გამოკითხულ საწარმოებს დაესვათ კითხვა - „აპირებთ თუ არა მუშახელის რაოდენობის გაზრდას მომდევნო 12 თვის განმავლობაში?“. კვლევის შედეგების თანახმად, **1,855**-მა საწარმომ გასცა დადებითი პასუხი (რაც სულ საწარმოთა **3.8%**-ია). 2022 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, მომდევნო 1 წლის განმავლობაში თანამშრომელთა ზრდის მოსალოდნელმა რაოდენობამ **27,126 შეადგინა**, რაც არსებული დასაქმების **3%**-ია.

მომდევნო 1 წლის განმავლობაში თანამშრომელთა მოსალოდნელი ზრდა (27,126 დასაქმებული) საწარმოთა ზომის, რეგიონების და ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა. საწარმოთა ზომის მიხედვით: მსხვილი - 18%, საშუალო 18%, მცირე - 64%. რეგიონების მიხედვით: თბილისი - 62%, დანარჩენი რეგიონები - 38%. ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით: ვაჭრობა - 28%, დამამუშავებელი მრეწველობა - 16%, მშენებლობა - 13%, სასტუმროები და რესტორნები - 8%, დანარჩენი სექტორების წილი ჯამში შეადგენს 34%-ს.


დიაგრამა 33 მომდევნო 1 წლის განმავლობაში დასაქმებულთა მოსალოდნელი ზრდა და მათი განაწილება (საწარმოთა ზომის, რეგიონების, სექტორების მიხედვით)



ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით დასაქმებულთა მოსალოდნელი ზრდა ყველაზე მაღალია ხელოსნებისა და მონათესავე სფეროების მუშებისა (22%) და მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირების (22%) ჯგუფებში. შემდეგ მოდის: სპეციალისტები - 18%, მენეჯერები - 11%, დამწყები კვალიფიკაციის მუშახელი - 9%, ტექნიკოსები და დამხმარე

სპეციალისტები - 8%, ოფისის დამხმარე პერსონალი - 5%, დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები - 4%, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები - 1%.

დიაგრამა 34 დასაქმებულთა მოსალოდნელი ზრდა მომდევნო 1 წლის განმავლობაში (ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით)




მოსალოდნელი ზრდის ტემპი (საწარმოთა მიერ მოსალოდნელი ზრდის თაობაზე დასახელებული რაოდენობა/დასაქმებულთა რაოდენობა) საწარმოთა ზომის მიხედვით, ყველაზე მაღალი მცირე ზომის საწარმოებშია - 6%, შემდეგ მოდის საშუალო ზომის საწარმოები - 3% და მსხვილი ზომის საწარმოები - 1%. ზრდის ტემპი თბილისში 3%, ხოლო დანარჩენ რეგიონებში 4%-ია.

მომდევნო 1 წლის განმავლობაში ზრდის ტემპი სექტორების მიხედვით ასე გამოიყურება:

პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	6%
მშენებლობა	5%
დამამუშავებელი მრეწველობა	4%
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	4%
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	4%
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	4%
ინფორმაცია და კომუნიკაცია	4%
განათლება	3%
სხვა სახის მომსახურება	3%
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	3%
ტრანსპორტირება და დასაწყობება	2%
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	2%
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1%
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	1%
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	1%
ხელოვნება, გართობა და დასვენება	1%
სამთო მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	1%

რაც შეეხება, მომდევნო 1 წლის განმავლობაში ზრდის ტემპს ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით, აღნიშნული ასე გამოიყურება:


დიაგრამა 35 ზრდის ტემპი მომდევნო 1 წლის განმავლობაში, ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით



2022 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, **მომდევნო 5 წლის განმავლობაში** თანამშრომელთა მოსალოდნელი ზრდის შესახებ დასმულ შეკითხვას დადებითი პასუხი 1,955-მა საწარმომ გასცა, რაც სულ საწარმოთა რაოდენობის 4%-ია. დასაქმებულთა ზრდის მოსალოდნელმა რაოდენობამ კი **51,040** შეადგინა, რაც მთლიანი დასაქმების 6%-ია (ზრდის ტემპი).


მომდევნო 5 წლის განმავლობაში თანამშრომელთა მოსალოდნელი ზრდა (51.040 დასაქმებული) საწარმოთა ზომის, რეგიონების და ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა: საწარმოთა ზომის მიხედვით: მსხვილი - 28%, საშუალო - 18%, მცირე - 54%. რეგიონების მიხედვით: თბილისი - 68%, დანარჩენი რეგიონები - 32%. სექტორების მიხედვით: ვაჭრობა - 33%, დამამუშავებელი მრეწველობა - 14%, მშენებლობა - 11%, სასტუმროები და რესტორნები - 7%, ჯამურად დანარჩენი სექტორების წილი - 34%.

დიაგრამა 36 მომდევნო 5 წლის განმავლობაში დასაქმებულთა მოსალოდნელი ზრდა და მათი განაწილება (საწარმოთა ზომის, რეგიონების, სექტორების მიხედვით)



მომდევნო 5 წლის განმავლობაში, მოსალოდნელი ზრდის შედეგად დასაქმებულების რაოდენობა **ძირითადი პროფესიული ჯგუფების** მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა: მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები 28%, ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები - 18%, სპეციალისტები - 18%, მენეჯერები - 9%, დამწყები კვალიფიკაციის მუშახელი - 9%, ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები - 7%, ოფისის დამხმარე პერსონალი - 6%, დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები - 4%, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები - 1%.

დიაგრამა 37 მოსალოდნელი ზრდა ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით (5 წელი)



მომდევნო 5 წლის განმავლობაში მოსალოდნელი **ზრდის ტემპი** (საწარმოთა მიერ მოსალოდნელი ზრდის თაობაზე დასახელებული რაოდენობა/დასაქმებულთა რაოდენობა) მცირე ზომის საწარმოებში 9%-ს, საშუალო ზომის საწარმოებში 6%-ს, ხოლო მსხვილი ზომის საწარმოებში 4%-ს შეადგენს. მოსალოდნელი ზრდა თბილისში 6%-ია, ხოლო დანარჩენ რეგიონებში 7%.

მოსალოდნელი ზრდის ტემპი **ეკონომიკური საქმიანობების** სახეების მიხედვით:

პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	14%
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	9%
მშენებლობა	8%
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	8%
დამამუშავებელი მრეწველობა	7%
ინფორმაცია და კომუნიკაცია	7%
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	7%
განათლება	5%
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	5%
ტრანსპორტირება და დასაწყობება	4%
სხვა სახის მომსახურება	4%
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	2%
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	2%
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	2%
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	2%
ხელოვნება, გართობა და დასვენება	2%
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	1%


ზრდის ტემპი **ელემენტარული პროფესიული ჯგუფების** მიხედვით (მოსალოდნელი ზრდა მომდევნო 1 წლის განმავლობაში მინიმუმ 100 დასაქმებული):

#	ISCO	ზრდა-1წელი	ზრდის ტემპი
5113	გიდები	109	61%
3122	დამამუშავებელი მრეწველობის ზედამხედველები	248	47%
7115	ხუროები და დურგლები	156	23%
8344	ავტო სატვირთველების ოპერატორები	106	22%
2161	შენობების არქიტექტორები	429	21%
1222	რეკლამირებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერები	306	19%
7522	ძვირფასი ავეჯის დურგლები და მონათესავე სფეროების	127	18%
7231	ავტოსატრანსპორტო საშუალებების მექანიკოსები და შემკეთებლები	721	18%
2634	ფსიქოლოგები	108	17%
7533	მკერავები, მქარგავები და მონათესავე სფეროების	291	17%

დასმულ შეკითხვას „აპირებთ თუ არა მომდევნო 1 წლის განმავლობაში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას?“ დადებითი პასუხი 119-მა საწარმომ გასცა (სულ საწარმოთა 0.2%). მომდევნო ერთი წლის განმავლობაში **დასაქმებულთა მოსალოდნელი შემცირების** რაოდენობა კი **1,041** დასაქმებულია, რომელიც საწარმოთა ზომის, რეგიონების, სექტორებისა და პროფესიული ჯგუფების მიხედვით ასე ნაწილდება:

- ✓ საწარმოთა ზომის მიხედვით: მსხვილი - 22%, საშუალო - 18%, მცირე - 60%;
- ✓ რეგიონების მიხედვით: თბილისი - 77%, დანარჩენი რეგიონები - 23%;
- ✓ სექტორების მიხედვით: ვაჭრობა - 26%, მშენებლობა - 22%, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა - 13%, სხვა სახის მომსახურება - 8%, დანარჩენი სექტორები - 30%;
- ✓ ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით: მენეჯერები - 26%, მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები - 18%, ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები - 18%, დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები - 13%, სპეციალისტები - 13%, ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები - 6%, დამწყები კვალიფიკაციის მუშახელი - 4%, ოფისის დამხმარე პერსონალი - 2%.


დიაგრამა 38 დასაქმებულთა მოსალოდნელი შემცირება ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით (1 წელი)



მომდევნო 5 წლის განმავლობაში დასაქმებულთა მოსალოდნელი შემცირების შესახებ დასმულ შეკითხვას დადებითი პასუხი 131-მა საწარმომ გასცა, რაც სულ საწარმოთა 0.3%-ია. დასაქმებულთა შემცირების მოსალოდნელი რაოდენობა კი **1,664-ია,** რომელიც საწარმოთა ზომის, რეგიონულ, სექტორულ და პროფესიული ჯგუფების მიხედვით ასე ნაწილდება:

- საწარმოთა ზომის მიხედვით: მსხვილი - 25%, საშუალო - 22%, მცირე - 53%;
- რეგიონების მიხედვით: თბილისი - 82%, დანარჩენი რეგიონი - 18%;
- სექტორების მიხედვით: ვაჭრობა - 21%, მშენებლობა - 17%, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა - 14%, სხვა სახის მომსახურება - 5%, დანარჩენი სექტორები - 43%,
- ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით: მენეჯერები - 24%, სპეციალისტები - 19%, მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები - 15%, ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები - 14%, დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები - 12%, ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები - 6%, ოფისის დამხმარე პერსონალი - 6%, დამწყები კვალიფიკაციის მუშახელი - 5%.

დიაგრამა 39 დასაქმებულთა მოსალოდნელი შემცირება ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით (5 წელი)




სექცია 5 – სამუშაო ძალის განვითარება

კვლევის შედეგების თანახმად, საკმაოდ დაბალია საწარმოთა ჩართულობა სამუშაო ძალის განვითარებაში. 2022 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, საწარმოთა რაოდენობამ, რომელთაც დააფინანსეს დასაქმებულთა გადამზადება 2,105 შეადგინა, რაც მთლიან საწარმოთა რაოდენობის 4%-ის ტოლია. აღნიშნული საწარმოები - ზომის, რეგიონულ და სექტორულ ჭრილში ასე ნაწილდება:


- ✓ საწარმოთა ზომის მიხედვით: მსხვილი - 11%, საშუალო - 23%, მცირე - 66%;
- ✓ რეგიონების მიხედვით: თბილისი- 70%, დანარჩენი რეგიონები - 30%;
- ✓ სექტორების მიხედვით: ვაჭრობის სექტორი - 23%, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები - 13%, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები - 9%, სასტუმროები და რესტორნები - 8%, დანარჩენი საწარმოები- 47%;

დიაგრამა 40 დასაქმებულთა გადამზადებაში ჩართული საწარმოების განაწილება სექტორებისა და რეგიონების მიხედვით



საწარმოთა ზომის მიხედვით გადამზადებასთან დაკავშირებული აქტივობების წილი[14] ყველაზე მაღალი მსხვილი ზომის საწარმოებშია - 43%, შემდეგ მოდის საშუალო ზომის საწარმოები - 23%, ბოლოს კი მცირე ზომის საწარმოები - 3%.


დიაგრამა 41 საწარმოების მიერ თანამშრომელთა გადამზადების წილი (საწარმოთა ზომის მიხედვით)



[14] შესაბამისი ზომის საწარმოთა რაოდენობა, რომელმაც გადაამზადა დასაქმებულები / შესაბამისი ზომის საწარმოთა სრულ რაოდენობასთან

საწარმოთა მიერ თანამშრომელთა გადამზადების წილი თბილისში 5%, ხოლო დანარჩენ რეგიონებში 3%-ია. ეკონომიკური სექტორების მიხედვით გადამზადების ხვედრითი წილი[15] შემდეგნაირად გამოიყურება: საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები - 16%, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება - 13%, განათლება - 13%, ინფორმაცია და კომუნიკაცია - 12%, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები - 10%, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები - 10%.


დიაგრამა 42 საწარმოების მიერ თანამშრომელთა გადამზადების წილი (სექტორების მიხედვით)[16]



2022 წელს გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობამ **51,136** შეადგინა, რაც მთლიანი დასაქმების 6%-ია. აღნიშნული საწარმოთა ზომის, რეგიონულ და სექტორულ ჭრილში ასე ნაწილდება:


- ✓ საწარმოთა ზომის მიხედვით: მსხვილი - 77%, საშუალო - 14%, მცირე - 9%;
- ✓ რეგიონების მიხედვით: თბილისი - 85%, დანარჩენ რეგიონები - 15%;
- ✓ სექტორების მიხედვით: საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები - 39%, ვაჭრობა - 15%, ენერგეტიკა - 8%, ჯანდაცვა - 6%, განათლება - 6%.

დიაგრამა 43 გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა (რეგიონის, საწარმოთა ზომის, სექტორების მიხედვით)




[15] შესაბამისი სექტორში საწარმოთა რაოდენობა, რომელმაც გადაამზადა დასაქმებულები / შესაბამისი სექტორის საწარმოთა სრულ რაოდენობასთან

[16] სექტორების აბრევიატურა




გადამზადებულ თანამშრომელთა წილი[17] სექტორების მიხედვით ყველაზე მაღალი საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების სექტორშია - 50% (20,015 დასაქმებული 40,103-დან), შემდეგ მოდის ენერგეტიკა (24%), განათლება (12%), დანარჩენ სექტორებში გადამზადებულთა წილი არ აღემატება 7%-ს.

დიაგრამა 44 გადამზადებულ თანამშრომელთა წილი სექტორების მიხედვით[18]



კვლევის თანახმად დასაქმებულთა არგადამზადების მიზეზად საწარმოთა 86% ასახელებს რომ - „დასაქმებულებს არ ესაჭიროებათ გადამზადება“, შესაბამისი ფინანსური სახსრების არქონას - 12%, შესაბამისი გადამზადების კურსების ვერ მოძიებას - <1%.

დიაგრამა 45 დასაქმებულთა არგადამზადების მიზეზები




[17] დატრენინგებული თანამშრომლები სექტორების მიხედვით/სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა

[18] სექტორების აბრევიატურა

გადამზადების მხრივ „შესაბამისი ფინანსური სახსრების არქონა“ პასუხის წილი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით ყველაზე მაღალი ჯანდაცვის სექტორშია (21%), შემდეგ მოდის უძრავი ქონება (20%), სოფლის მეურნეობა (19%), ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები (18%), ICT (16%), განათლება (16%), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები (14%), განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები (14%), სხვა სახის მომსახურება (13%), დამამუშავებელი მრეწველობა (13%), მშენებლობა (12%), პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები (12%). საშუალო მაჩვენებელზე დაბალი წილი დაფიქსირდა შემდეგ სექტორებში, საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი (11%), სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება (8%), ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება (8%), ტრანსპორტირება და დასაწყობება (8%), ხელოვნება, გართობა და დასვენება (6%).


საწარმოების მიერ დაფინანსებული ტრენინგების 73% - სპეციალობაში კვალიფიკაციის ამაღლებაზე მოდის, 12% - საინფორმაციო ტექნოლოგიებზე, 8% - უცხო ენებზე.

დიაგრამა 46 დაფინანსებული ტრენინგები სფეროების მიხედვით



თანამშრომელთა შესანარჩუნებლად მოტივაციის გაზრდის მხრივ დამსაქმებლების მხრიდან ყველაზე ფართოდ გამოიყენება: მადლობის გამოცხადება (29%) და ფულადი ჯილდოს გაცემა (28%), თუმცა ყველაზე დიდია იმ კომპანიების წილი, რომლებიც საერთოდ არ იყენებენ არანაირ მექანიზმს (32%). დაწინაურების მეთოდს მიმართავს საწარმოების 7%, ხოლო ფასიანი საჩუქრის მიცემას - 4%.

დიაგრამა 47 დასაქმებულთა მოტივაციის მექანიზმები




თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდის მხრივ დამსაქმებლების მხრიდან განხორციელებული აქტივობების თვალსაზრისით საწარმოთა ზომის მიხედვით შემდეგი სურათია: **მცირე ზომის საწარმოების** შემთხვევაში: „არ ვიყენებ არანაირ მექანიზმს“ - 34%, „მადლობის გამოცხადება“ - 29%, „ფულადი ჯილდოს მიცემა“ - 28%, „დაწინაურება“ - 6%, „ფასიანი საჩუქრის მიცემა“ - 3%. **საშუალო ზომის საწარმოების** შემთხვევაში: „ფულადი ჯილდოს მიცემა“ - 37%, „მადლობის გამოცხადება“ - 27%, „დაწინაურება“ - 20%, „ფასიანი საჩუქრის მიცემა“ - 6%, „არ ვიყენებ არანაირ მექანიზმს“ - 9%. **მსხვილი ზომის საწარმოების** შემთხვევაში: „ფულადი ჯილდოს მიცემა“ - 33%, „მადლობის გამოცხადება“ - 28%, „დაწინაურება“ - 26%, „ფასიანი საჩუქრის მიცემა“ - 9%, „არ ვიყენებ არანაირ მექანიზმს“ - 3%.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა, ასევე ქონდათ თუ არა საწარმოებს სტრატეგია/გზამკვლევი თანამშრომელთა გადამზადების მიმართულებით. კვლევის თანახმად, საწარმოთა 21%-ს აქვს თანამშრომელთა გადამზადების სტრატეგია/გზამკვლევი. სტრატეგიის მქონე საწარმოების წილი[19] სექტორების მიხედვით ყველაზე მაღალია ენერგეტიკის სექტორში - 50%, შემდეგ მოდის განათლება - 40%, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები - 36%, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები - 36%, ინფორმაცია და კომუნიკაცია - 34%.


საწარმოთა ზომის მიხედვით იმ საწარმოთა წილი, რომლებიც ფლობენ თანამშრომელთა გადამზადების სტრატეგია/გზამკვლევს ყველაზე მაღალია მსხვილი ზომის საწარმოებში (65%), შემდეგ მოდის საშუალო - 47% და მცირე ზომის საწარმოები - 19%.

დიაგრამა 48 აქვს თუ არა საწარმოს სტრატეგია/გზამკვლევი თანამშრომელთა გადამზადების მიმართულებით



კვლევის შედეგების მიხედვით, საწარმოთა **45%** ფლობს ინფორმაციას ,,დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს" სახელმწიფო პროგრამის შესახებ.

დიაგრამა 49 ფლობენ თუ არა ინფორმაციას ,,დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს" სახელმწიფო პროგრამის შესახებ



[19] საწარმოთა რაოდენობა ვისაც აქვთ გზამკვლევი / საწარმოთა მთლიანი რაოდენობა სექტორში

,,დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს" სახელმწიფო პროგრამის შესახებ ყველაზე მეტად ინფორმირებულები არიან მსხვილის ზომის საწარმოები (**66%)**, შემდეგ მოდის საშუალო (54%) და მცირე ზომის საწარმოები (44%).

რაც შეეხება რეგიონებს, ,,დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს" სახელმწიფო პროგრამის შესახებ ინფორმაციას თბილისში ფლობს საწარმოთა 46%, ხოლო დანარჩენ რეგიონებში საწარმოთა 43%.


სექცია 6 – პროფესიული განათლება

კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა პროფესიული განათლების მქონე ადამიანების დასაქმების მაჩვენებელი, დამსაქმებელთა დამოკიდებულება პროფესიული სწავლების მიმართ და მათი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის ფორმები (სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება, სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკის შეთავაზება, პროფესიულ სტანდარტების შემუშავებაში მონაწილეობა).

კვლევის თანახმად, გამოკითხული **საწარმოების 33%-ს** (16,198 საწარმო) **ჰყავს პროფესიული განათლების მქონე ადამიანი დასაქმებული** (111,596 ადამიანი).

გამოკითხვის მიხედვით, კითხვაზე „ძირითადად რა სახის განათლებაა საჭირო თქვენ საწარმოში სამუშაოს/საქმის განსახორციელებლად“ პასუხები ასე გადანაწილდა: უმაღლესი განათლება საჭიროდ დასახელდა საწარმოთა - 32%-ში, პროფესიული განთლება - 30%-ში, სრული ზოგადი განათლება - 29%-ში, ხოლო არაფორმალური განათლება - 8%-ში.


დიაგრამა 50 საწარმოში დასაქმებისთვის საჭირო განათლების მიღწეული დონეები



სექტორი, სადაც **არაფორმალური განთლების საჭიროების** წილი ყველაზე მაღალია წარმოადგენს სოფლის მეურნეობა (23%), შემდეგ მოდის სამთომოპოვებითი მრეწველობა (16%), დამამუშავებელი მრეწველობა (13%), სასტუმროები/რესტორნები (12%) და ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურებების საქმიანობები (10%). **სრული ზოგადი განათლების** შემთხვევაში, სექტორი რომელშიც **სრული ზოგადი განათლების საჭიროების** წილი ყველაზე მაღალია ვაჭრობის სექტორია (40%), შემდეგ მოდის სასტუმროები/რესტორნების სექტორი (38%). **პროფესიული განათლების საჭიროების** წილი ყველაზე მაღალი სხვა სახის მომსახურების სექტორშია (63%), შემდეგ მოდის ენერგეტიკა (48%). **უმაღლესი განათლების საჭიროების** წილი ყველაზე მაღალი ჯანდაცვის სექტორშია (80%), შემდეგ მოდის პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები (78%) და განათლება (75%).


პროფესიული განათლების მქონე პირების დამსაქმებელი საწარმოების (16,198 საწარმო) წილი საწარმოთა ზომის მიხედვით გვიჩვენებს, რომ მსხვილი ზომის საწარმოთა 56%-ს (სულ 546 მსხვილი საწარმოდან 308 საწარმო) ყავს დასაქმებული შესაბამის პოზიციაზე პროფესიული განათლების მქონე ადამიანი, საშუალო ზომის საწარმოთა 45%-ს, ხოლო მცირე ზომის საწარმოების 32%-ს.

დიაგრამა 51 პროფესიული განათლების მქონე პირთა დამსაქმებელ საწარმოთა განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით (%)



საწარმოები, რომლებშიც დასაქმებულები არიან პროფესიული განათლების მქონე ადამიანები, ასეთ საწარმოთა მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა ენერგეტიკის სექტორი (58%), შემდეგ მოდის სხვა სახის მომსახურება (57%), ჯანდაცვა (49%), სასტუმრო/რესტორნები (43%), სამთომოპოვებითი მრეწველობა (42%) და დამამუშავებელი მრეწველობა (38%).

დიაგრამა 52 პროფესიული განათლების მქონე პირთა დამსაქმებელ საწარმოთა განაწილება სექტორების მიხედვით [20]




2022 წელს შესაბამის პოზიციაზე პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა **111,596**, რომელთაგან 38% (42,046 ადამიანი) მსხვილ საწარმოებშია დასაქმებული, 17% (18,566 ადამიანი) საშუალოში, ხოლო 46% (50,984 ადამიანი) მცირეში. რეგიონების მიხედვით მათი გადანაწილება გვიჩვენებს, რომ 61% თბილისზე მოდის, ხოლო 39% დანარჩენ რეგიონებზე.

დიაგრამა 53 პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომის, რეგიონის, სექტორების მიხედვით



[20] სექტორების აბრევიატურა



კვლევის თანახმად, შესაბამის პოზიციაზე დასაქმებული პროფესიული განათლების მქონე პირების განაწილება სექტორების მიხედვით გვიჩვენებს, რომ გამორჩეულია საცალო და საბითუმო ვაჭრობის სექტორი (23%), შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა (13%), ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები (13%) და მშენებლობა (12%).

პროფესიული განათლებისთვის შესაბამის (ანალოგიურ) პოზიციაზე, პროფესიული განათლების **არმქონე** ადამიანთა დასაქმება საწარმოთა 10%-ში ფიქსირდება (4,933 საწარმო) და **34,346** დასაქმებულს შეადგენს.


პროფესიული განათლების არმქონე პირების დამსაქმებელი საწარმოების (4,933 საწარმო) წილი საწარმოთა ზომის მიხედვით გვიჩვენებს, რომ მსხვილი ზომის საწარმოთა 25%-ს (სულ 546 მსხვილი საწარმოდან 138 საწარმო) ყავს დასაქმებული შესაბამის პოზიციაზე პროფესიული განათლების მქონე ადამიანი, საშუალო ზომის საწარმოთა 18%-ს, ხოლო მცირე ზომის საწარმოთა 9%-ს.

რაც შეეხება აღნიშნულ საწარმოთა წილობრივ განაწილებას სექტორების მიხედვით, ასეთ საწარმოთა ყველაზე მაღალი წილი სასტუმრო / რესტორნების სექტორშია - 17%, შემდეგ მოდის ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები - 15%, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობის სექტორი - 13%, წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები - 13%, დამამუშავებელი მრეწველობა - 13%, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა - 11%, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები - 10%, მშენებლობა - 9%, საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი - 9%, ინფორმაცია და კომუნიკაცია - 9%, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება - 9%.

ასეთი ტიპის, კერძოდ პროფესიული განათლების არმქონე **დასაქმებულთა რაოდენობა 34,346 პირს შეადგენს,** რომელთაგან 40% (13,586 ადამიანი) მსხვილ საწარმოებშია დასაქმებული, 21% (7,077 ადამიანი) საშუალოში, ხოლო 40% (13,683 ადამიანი) მცირეში.


ეკონომიკური საქმიანობების სახეების მიხედვით აღნიშნულ დასაქმებულთა განაწილება შემდეგნაირად გამოიყურება - ვაჭრობა 34%, დამამუშავებელი მრეწველობა - 21%, სასტუმრო/რესტორნები- 11%, მშენებლობა 8%.

დიაგრამა 54 პროფესიული განათლების არმქონე დასაქმებულთა განაწილება, საწარმოთა ზომის, რეგიონების, სექტორების მიხედვით




კვლევის ფარგლებში დამსაქმებლებს, ეთხოვათ შეეფასებინათ დასაქმებულები 1-დან 5 ქულამდე შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით (სადაც „5“ ნიშნავს - „სრულიად დამაკმაყოფილებელია“, ხოლო „1“ – „საერთოდ არ არის დამაკმაყოფილებელი“). ამასთან, კვლევის ფარგლებში დამსაქმებლებს ცალ-ცალკე შეაფასებინეს პროფესიულ განათლების მქონე და ანალოგიურ პოზიციაზე პროფესიული განათლების არმქონე დასაქმებულები. კვლევის თანახმად, პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულების 65% შეფასებულია 5 ქულით, 4 ქულით შეფასდა - 25%, 3 ქულით - 7%, 2 ქულით 3%, ხოლო 1 ქულით შეფასდა 1%.

დიაგრამა 55 პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულთა შეფასება



ხოლო, პროფესიული განათლების არმქონე დასაქმებულების 53% შეფასებულია 5 ქულით, 4 ქულით შეფასდა - 29%, 3 ქულით შეფასდა - 16%, 2 ქულით შეფასდა 2%, ხოლო 1 ქულით შეფასდა 0.3% .

დიაგრამა 56 პროფესიული განათლების არმქონე დასაქმებულთა შეფასება




კვლევის კიდევ ერთ ამოცანას წარმოადგენს საწარმოების და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობის შესწავლა, როგორც რაოდენობრივი, ასევე თანამშრომლობის ტიპების შესწავლის თვალსაზრისით.

განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ **საწარმოების მხოლოდ 3% (**1,232 საწარმო**) თანამშრომლობს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.** მათგან 69% მცირე ზომის საწარმოა (849 საწარმო, რაც არსებულ საწარმოთა 2%-ია), საშუალო ზომის საწარმოები - 19% (235 საწარმო, რაც არსებულ საშუალო ზომის საწარმოთა 11%-ია), ხოლო მსხვილი საწარმოები -12% (148 საწარმო, რაც სულ არსებული მსხვილი ზომის საწარმოების 27%-ია).

საწარმოები პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის მხრივ თანამშრომლობის 3 ფორმიდან (სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკის შეთავაზება, პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებაში მონაწილეობის მიღება) ყველაზე ხშირად მიმართავენ **სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკის შეთავაზებას** (50%). ამასთან, თითქმის თანაბარზომიერია პასუხები საწარმოთა მხრიდან **პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში ჩართულობისა** (22%) და **სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში მონაწილეობასთან** (25%) მიმართებით.


დიაგრამა 57 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის ტიპები



იმ **1,232 საწარმოდან**, რომლებიც თანამშრომლობენ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ნახევარზე მეტმა (55%, 676 საწარმო) თანამშრომლობის შედეგად **5,427** ადამიანი დაასაქმა.


პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის ფორმატში დასაქმების მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევიან: საცალო და საბითუმო ვაჭრობის (26%, 1,433 დასაქმებული), ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქმიანობების (21%, 1,157 დასაქმებული), სასტუმრო/ რესტორნების (14%, 780 დასაქმებული), მშენებლობის (10%, 549 დასაქმებული), დამამუშავებელი მრეწველობის (8%, 453 დასაქმებული) სექტორები. სხვა დანარჩენი სექტორების მიერ დასაქმებულთა მაჩვენებელი ჯამში 19%-ს შეადგენს, რაც 1,055 დასაქმებულის ტოლია.

დიაგრამა 58 პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის ფორმატში დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობების სახეების მიხედვით




საწარმოების უმრავლესობა (75%) თვლის, რომ პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულებს გადამზადება არ სჭირდებათ. მცირე ნაწილი (6%) თვლის, რომ გადამზადება მაინც მნიშვნელოვანია, ხოლო დაახლოებით მეხუთედს (19%) არა აქვს პასუხი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დიაგრამა 59 პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულის გადამზადების საჭიროება




საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გამოკითხული საწარმოების მხოლოდ **3%** თანამშრომლობს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, თუმცა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სამომავლო თანამშრომლობის სურვილი საწარმოთა **8%**-მა გამოთქვა, მზაობა **5%**, ხოლო საჭიროება - **2**%-მა. თანამშრობლობის სურვილი/მზაობა/საჭიროება არ აქვთ საწარმოთა **53%**-ს, „არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა“ - 32%-მა დააფიქსირა.

დიაგრამა 60 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სამომავლო თანამშრომლობა



პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობის (საჭიროება/ მზაობა/ სურვილი) ფორმები შემდეგნაირად გადანაწილდა - სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკის შეთავაზება - 41%, სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში მონაწილეობის მიღება - 34%, პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება - 24%, სხვა - 1%.


დიაგრამა 61 სამომავლო თანამშრომლობის სასურველი ტიპები



საწარმოთა მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ ცოდნასთან დაკავშირებით, კვლევის შედეგად გამოვლენილ იქნა, რომ საწარმოების **20% სრულიად ენდობა** პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ ცოდნას, **თითქმის ნახევარი (47%)** კი მეტნაკლებად ენდობა. ამასთან, საყურადღებოა, რომ **მიჭირს პასუხის გაცემა** გამოკითხულთა **30%-მა** დააფიქსირა.


ამასთან, პროფესიული სასწავლებლების დონეს გამოკითხულთა 28% დადებითად, 37% საშუალოდ, 3% უარყოფითად აფასებს, ხოლო მიჭირს პასუხის გაცემა გამოკითხულთა 31%-მა დააფიქსირა.

დიაგრამა 62 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სანდოობის შეფასება



საწარმოების 42%-ს **სახელმწიფოს მიერ ინვესტიციების ჩადება პრიორიტეტულად** პროფესიულ განათლებაში მიაჩნია, 26%-ს უმაღლეს განათლებაში, 16%-ს საშუალო განათლებაში, ხოლო პასუხად „არ ვიცი“ 15%-ის მიერ დაფიქსირდა.

დიაგრამა 63 სად უნდა იყოს სახელმწიფოსათვის ინვესტიციების ჩადება პრიორიტეტული



სექცია 7 – დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები

კვლევის კიდევ ერთ ამოცანას წარმოადგენს საწარმოებში უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებაზე ინფორმაციის მოძიება და გაანალიზება. კვლევა სწავლობს უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებას სხვადასხვა ჭრილში (შორის საწარმოთა ზომის, რეგიონის, ეკონომიკურ საქმიანობათა სახეებისა და პროფესიული ჯგუფების მიხედვით), ასევე მათი დასაქმების მიზეზებს.


კვლევის შედეგების მიხედვით, 2022 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით საწარმოთა **8%**-ს (3,884 საწარმო) ჰყავს **17,851** უცხო ქვეყნის მოქალაქე დასაქმებული, რაც **მთლიანი დასაქმების 2%-ია.** საგულისხმოა, რომ 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით **უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმება 78%-ით გაიზარდა.**


უცხო ქვეყნის მოქალაქეები ძირითადად მცირე ზომის საწარმოებში არიან დასაქმებულები (83% მცირე ზომის საწარმო), თუმცა ასევე გვხვდებიან საშუალო (11%) და მსხვილი (6%) ზომის საწარმოებში. რეგიონების მიხედვით საწარმოები, რომლებშიც დასაქმებულები არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მათი უმეტესობა - 74% თბილისში, ხოლო 26% - დანარჩენ რეგიონებში მდებარეობს.

რაც შეეხება საწარმოთა განაწილებას ეკონომიკური საქმიანობების სახეების მიხედვით, ამ საწარმოთა 22% საცალო და საბითუმო ვაჭრობის სექტორზე მოდის, 14% სასტუმროებისა და რესტორნების, 11% ტრანსპორტირებისა და დასაწყობების, 9% მშენებლობის, ხოლო 8% დამამუშავებელი მრეწველობის სექტორზე მოდის. დანარჩენი სექტორების ჯამური წილი 37%-ია.

დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეთა 45% (**17,851** დასაქმებული) მსხვილი ზომის საწარმოებზე მოდის, 14% საშუალოზე, ხოლო 41% მცირე ზომის საწარმოებზე.

დიაგრამა 64 დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები, საწარმოთა ზომის, რეგიონების, სექტორების მიხედვით






დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობების სახეების მიხედვით გვიჩვენებს, რომ ყველაზე მაღალი წილი ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორზე მოდის - 39% (დასაქმებულთა რაოდენობა ICT სექტორში წინა წელთან შედარებით 10-ჯერ არის გაზრდილი). დანარჩენი სექტორების წილი კი ასე გამოიყურება: მშენებლობა 17%, ვაჭრობა 8%, ტრანსპორტირება/დასაწყობება და სასტუმროები/რესტორნების სექტორებში, თითოეულში 6 %.


დასაქმებულთა განაწილება ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით შემდეგი სახით გამოიყურება: სპეციალისტები - 34%, მენეჯერები - 33%, ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები - 11%, დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები - 5%, მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები - 5%, ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები - 4%, ოფისის დამხმარე პერსონალი - 4%, დამწყები კვალიფიკაციის მუშახელი - 3%.

დიაგრამა 65 დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით




ელემენტარული პროფესიული ჯგუფებიდან გამოსარჩევია ინფორმაციისა და ტექნოლოგიების სფეროსთან დაკავშირებული ჯგუფების ზრდა, კერძოდ: პროგრამისტები - 3,373 დასაქმებული (+2141% წინა წელთან შედარებით), ICT მომსახურებების მენეჯერები - 1,400 დასაქმებული (+4167%), ICT გაყიდვების სპეციალისტები - 1,226 დასაქმებული (+970%). სრული სურათი ასე გამოიყურება:

დიაგრამა 66 დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით



უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმების ძირითად მიზეზად საწარმოს უცხოელი დამფუძნებელი/მენეჯმენტი (64%) დასახელდა, 8%-ის შემთხვევაში კი საწარმოს უცხოური წარმომავლობა. ამასთან, გამოკითხულთა 7%-ს აზრით, უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმების მთავარი მიზეზი ადგილობრივ ბაზარზე საჭირო კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარების მუშახელის არარსებობაა, 3%-მა კი დაბალი ანაზღაურება დაასახელა.

დიაგრამა 67 უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დასაქმების ძირითადი მიზეზები




საწარმოთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით, საწარმოებმა რომლებმაც უცხო ქვეყნის მოქალაქის დასაქმების მიზეზად ადგილობრივ ბაზარზე საჭირო კვალიფიკაციის ვერ მოძებნა დაასახელა, ასეთ პროფესიულ ჯგუფებად დააფიქსირეს: სპეციალისტების პროფესიული ჯგუფი (32%), მომსახურებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები (24%), მენეჯერები (14%), ხელოსნებისა და მონათესავე სფეროების მუშები (14%), ტექნიკოსებისა და დამხმარე

სპეციალისტების ჯგუფი (8%), ოფისის დამხმარე სპეციალისტების ჯგუფი (3%), დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობების ჯგუფი (3%) და დამწყები კვალიფიკაციის მუშახელი (1%).

ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით კი დასახელდა კოსმეტოლოგები და მონათესავე სფეროებში დასაქმებული პირები (21%), პროდუქციისა და ტანსაცმლის დიზაინერები (6%), კომერციული მომსახურებისა და ადმინისტრაციის მენეჯერები (6%), ქვის მტეხავები, ქვისმთლელები და ქვაზე მჭრელები (5%) და პროგრამისტები (4%).

დიაგრამა 68 დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები (ადგილობრივ ბაზარზე საჭირო კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალის არარსებობა)



სექცია 8 – პირველი სამუშაოს მაძიებლები


კვლევის შედეგებით, 2022 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით ბოლო 1 წლის განმავლობაში საწარმოთა 5%-ს (2,449 საწარმო) ჰყავდა დასაქმებული **22,415** პირველი სამუშაოს მაძიებელი.

პირველი სამუშაოს მაძიებლების დასაქმების მხრივ გამოირჩევა მსხვილი (62%, 13,982 დასაქმებული) და მცირე ზომის (22%, 4,828 დასაქმებული) საწარმოები. რაც შეეხება საშუალო ზომის საწარმოებს, მათ მიერ დასაქმებული პირველი სამუშაოს მაძიებლების ხვედრითი წილი 16%-ს (3,604 დასაქმებული) შეადგენს.

პირველი სამუშაოს მაძიებლების დასაქმების კუთხით გამოირჩევა ვაჭრობის სექტორი - 41%, სასტუმროები/რესტორნების სექტორი - 15% და დამამუშავებელი მრეწველობის სექტორი - 12%.

პირველი სამუშაოს მაძიებლების დასაქმების მაჩვენებელი განთლების მიღწეული დონის მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა: უმაღლეს სასწავლებლის დამთავრებით - 43%, 9,627 დასაქმებული, საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრებით - 40%, 9,906 დასაქმებული და პროფესიული სასწავლების დამთავრებით - 17%, 3,882 დასაქმებული.

დიაგრამა 69 პირველი სამუშაოს მაძიებლები განათლების მიღწეული დონის მიხედვით



რაც შეეხება დამსაქმებელთა მხრიდან, დასაქმებულ პირველი სამუშაოს მაძიებლების შეფასებას, კვლევის თანახმად:


- ✓ საშუალო განათლების მქონე დასაქმებულებს დამსაქმებლები აფასებენ: ძალიან კარგად - 16%, კარგად - 37%, საშუალოდ - 43%, ცუდად - 3%, ძალიან ცუდად - 1%.
- ✓ პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულებს დამსაქმებლები აფასებენ: ძალიან კარგად - 12%, კარგად - 34%, საშუალოდ - 53%, ცუდად - 1%, ძალიან ცუდად - 0%.
- ✓ უმაღლესი განათლების მქონე დასაქმებულებს დამსაქმებლები აფასებენ: ძალიან კარგად - 22%, კარგად - 48%, საშუალოდ - 29%, ცუდად - 2%, ძალიან ცუდად - 0%.

სექცია 9 – თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება

კვლევის ერთ-ერთ ამოცანაა, იმის შესწავლა თუ რამდენად იყენებენ კომპანიები თანამედროვე ტექნოლოგიებს და როგორია უახლოეს პერიოდში მათი დამოკიდებულება ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებით. ტექნოლოგიების გამოყენება და დანერგვა თავის მხრივ მიუთითებს სექტორის განვითარებაზე, კონკურენტუნარიანობასა და მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შესაძლო ზრდაზე.


კვლევის შედეგების მიხედვით, საწარმოთა **17% (8,276 საწარმო)** იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს. თანამედროვე ტექნოლოგიების **გამომყენებელი საწარმოთა წილი**[21] ყველაზე მაღალი მსხვილი ზომის საწარმოებშია (35%), შემდეგ მოდის საშუალო ზომის საწარმოები (26%) და მცირე ზომის საწარმოები (16%).

დიაგრამა 70 საწარმოების წილი, რომლებიც იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს საწარმოთა ზომების მიხედვით



თანამედროვე ტექნოლოგიების **გამომყენებელი საწარმოთა წილი** ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით ყველაზე მაღალი ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქმიანობების სექტორშია - 38%, ინფორმაცია და კომუნიკაცია - 36%, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები - 30%, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები - 29%, ხელოვნება, გართობა და დასვენება - 27%.

დიაგრამა 71 საწარმოების წილი, რომლებიც იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით[22]




[21] საწარმოთა რაოდენობა, რომლებიც იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიების /საწარმოთა რაოდენობა

[22] სექტორების აბრევიატურა

კვლევის შედეგების მიხედვით, სამომავლოდ თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტირებას საწარმოთა **4% (1,807 საწარმო)** გეგმავს. ტექნოლოგიებში სამომავლო ინვესტირების განზრახვის მქონე საწარმოთა წილი ყველაზე მაღალი მსხვილი ზომის საწარმოებშია (19%), შემდეგ მოდის საშუალო ზომის (9%) და მცირე ზომის საწარმოები (3%).

ტექნოლოგიებში სამომავლო ინვესტირების განზრახვის მქონე საწარმოთა წილი სექტორულ ჭრილში შემდეგ სურათს იძლევა: ყველაზე მაღალი ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორში - 12%, შემდეგ მოდის ხელოვნება გართობა და დასვენება - 11%, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები (10%). ყველაზე დაბალი მაჩვენებელია უძრავი ქონების საქმიანობების სექტორში (2%), შემდეგ მოდის ტრანსპორტირება და დასაწყობებისა (1%) და ვაჭრობის სექტორები (1%).

დიაგრამა 72 საწარმოების წილი, რომლებსაც სამომავლოდ განზრახული აქვთ ინვესტიციების განხორციელება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით



საწარმოების თითქმის მეხუთედმა (22%) განაცხადა, რომ აპირებენ თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტირებას, რის შედეგადაც ვარაუდობენ შემდეგ პროფესიულ ჯგუფებზე მოთხოვნის ზრდას: მეცნიერებისა და ინჟინერიის სპეციალისტები, ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტები, სამეცნიერო და საინჟინრო დამხმარე ტექნიკოსები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტექნიკოსები, ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების სფეროების მუშები.

საწარმოების მცირე ნაწილი (2%) თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტირების შედეგად ვარაუდობს შემდეგ პროფესიულ ჯგუფებზე მოთხოვნის შემცირებას: ბუღალტრები, შესაფუთი მანქანების ოპერატორები, მაღაზიების კონსულტანტ-გამყიდველები, ტექნიკოს-მემონტაჟეები, სამრეწველო სფეროს მუშები.

კვლევის თანახმად, თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტირების მიმართულებებად დასახელდა: ხელოვნური ინტელექტის განვითარება (მაგ: Big data processing, AI/ML, Cloud computing), ღრუბლოვანი ინფრასტუქტურის განვითარება (Amazon cloud services, Office 365, Microsoft Azure: Cloud Computing Services), ბიზნეს პროცესების მართვის თანამედროვე სისტემები, ისეთები როგორებიცაა CRM (Customer Relations Management) და ERP (Enterprise Resource Planning) ტიპის სისტემები, კომპიუტერული რიცხვითი კონტროლის (CNC სისტემები) თანამედროვე ტიპის ბუღალტრული სისტემები, თანამედროვე სანავიგაციო სისტემები, სამედიცინო მოწყობილობები (APLIO 400, BEEFILL 2 IN 1, BMS ტექნოლოგიები, cobas 111) და სამედიცინო ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურა (Anatomage).